# ლელო

№ 62
(11 211)

7 – 10 აგვისტო, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ქიში, როქი, თუ...

## ანუ იმის შესახებ, თუ რა ბედი შეიძლება ეწვიოს ქართულ სპორტს სამთავრობო სტრუქტურების საჭადრაკო დაფაზე გაუანალიზებელი სვლის შემთხვევაში

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, რომელიც ღიად უნდა ითქვას, ქართული სპორტის გულიანი ქომაგი და მხარდამჭერი იყო, გადადგომის შესახებ განაცხადა, ხოლო კაბინეტის სხვა წევრებს, ცალკეული სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელებსაც იგივე მოუწოდა, ქვეყანა საერთო-სახალხო მითქმა-მოთქმამ მოიცვა: რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელ სავარაუდო ცვლილებებზე სხვებზე მეტად მსჯელობდნენ და დღესაც მსჯელობენ უშუალოდ ცალკეულ სფეროებში დასაქმებული ადამიანები და, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ აზრს, მეტწილად, მათგან ფეხადგმული ჭორ-მართალი ქმნის.

რა მოხდება სპორტში? ეს ალბათ, მხოლოდ ამ სფეროს წარმომადგენლებს როდი აინტერესებს, სპორტი საყოველთაო ფენომენია და, ამდენად, დასმულ კითხვაზე პასუხის მომლოდინე მთელი ქვეყანაა.

ცხადია, საბოლოოდ, სამთავრობო საჭადრაკო დაფაზე ყველას სვლას ქვეყნის პრეზიდენტი გააკეთებს, თუმცა, ეს სეკუნდანტების ჩაურევლად არა და არ მოხდება. ვარაუდს კი დღეს ბევრი გამოთქვამს და ჩვენც ვიტოვებთ ამის უფლებას.

დავიწყოთ იმით, რომ ქართულმა სპორტმა, ისე როგორც სხვა სფეროებმა და, საერთოდ ქვეყანამ, უმძიმესი წლები გადაიტანა, მაგრამ აქვე პირდაპირ ვთქვათ, გადაიტანა ყველაზე ვაჟკაცურად, უპირველესად კი ქართული სპორტის პატრიოტ ხელმძღვანელთა ძალისხმევით. დიდი ბჭობა და ანალიზი არ ჭირდება და ისედაც თვალნათლივ ჩანს, რომ სპორტი ერთადერთი დარგი იყო და რჩება, რომლის მეშვეობით საქართველო მსოფლიოს ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნების გვერდით არათუ ამაყად დგას, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას უსწრებს კიდეც შედეგებით. და რაც უფრო თვალსაჩინოა ეს მიღწევები, მით უფრო მაღლდება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ახლა მთავარზე ვთქვათ: უდავოა, რომ ამჟამინდელი ცვლილებები მთავრობაში, ქვეყნის წინსვლის დაჩქარებაზეა ორიენტირებული. რა მოხდება სპორტთან დაკავშირებით? აი, აქ არის ძალიან სათუთი გათვლები. მართლაც, სპორტი იმ გადასახედიდან დაიწყებს ალმასვლას, რასაც მან დაგვითა და წვალებით მიაღწია, თუ იმ დონეზე დაეშვება, რა დონეზეც დღეს სხვა დარგები, საერთოდ, ცხოვრებაა და მათთან ერთად შეუდგება ხელახალ წინსვლას? ამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს, არა გვგონია, იქ, ზევით, ფიქრიანად არ ეკიდებოდნენ. თუ ასეა, მაშინ ქართულ სპორტს, უნდა ვივარაუდოთ, ქიში აღარ დაემუქრება.

მაინც რა შეიძლება მოხდეს? არის როქის ვარაუდი, რომ სპორტი და ტურიზმი გაერთიანდეს, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ იყო ჩვენში, ან ორივეს დაემატოს მესამე — ახალგაზრდობის დეპარტამენტი. ნაკლებსავარაუდოა, განათლებასთან ან სხვა სფეროსთან მისი გაერთიანება.

*სპორტისა და ტურიზმის შერწყმის გზა ერთხელ უკვე გავიარეთ* და, კაცმა რომ თქვას, თავი ვერც დაგვამახსოვრა, რადგან სწორედ ის წლები იყო ყველაზე უმძიმესი ჩვენი ქვეყნისათვის. თუ ძველ მოდელს ახლა კვლავ დავუბრუნდებით, მაშინ მისი თავკაცის შერჩევის საკითხიც დადგება დღის წესრიგში. აქ კი, ვფიქრობთ, უპირატესობა მიენიჭება ტურიზმის დეპარტამენტის ახლანდელ ხელმძღვანელს. იგი იმ შემთხვევაშიც უალტერნატივო იქნება თუ სპორტსა და ტურიზმს ახალგაზრდობის საქმეებსაც დაუმატებენ. უალტერნატივო იმიტომ, რომ ამ კაცს ახალგაზრდობასთანაც, სპორტშიც და ტურიზმშიც მუშაობის გამოცდილება გააჩნია, დაჯილდოებულია ორგანიზატორული ნიჭით. მაგრამ, ვთქვათ, სამივე სფერო კი გაერთიანდა, მაგრამ ხელმძღვანელად სულ სხვა, ყოველ შემთხვევაში, სპორტისთვის მიუღებელი კანდიდატურა წამოტივტივდა. ამ შემთხვევაში ალტერნატივა არა პიროვნებას, არამედ თვით სპორტს გამოუჩნდება, ანუ, დადგება საკითხი, სპორტის მართვა გადაეცეს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, როგორც ეს, ვთქვათ რუსეთშია, ხოლო ტურიზმს და ახალგაზრდობას დარჩეს ფიზიკური აღზრდა, მასობრივი სპორტი, სპორტის არაოლიმპიური სახეობები — ისევ და ისევ რუსეთის ანალოგიით.

საერთოდ, ყველანაირი გაერთიანება საქმისთვის, ყოველთვის უარესია. უკეთესი თუ იყო, თავის დროზე რატომ დავაშორეთ სპორტი და ტურიზმი ერთმანეთისგან. მეტწილად გაერთიანებას მიმართავენ, არა დარგის მონათესაობით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით. სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტები დღეს სახელმწიფოს შემყურეა და ისე გამოდის, ჩვენში რომ იტყვიან: მკვდარი მკვდარს აეკიდაო. გაერთიანებისას დარგებს მოადგილეები უძღვებიან, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ამ დარგის სტატუსი და ავტორიტეტი მოადგილის დონემდე ეცემა, ე.ი. მეორეხარისხოვანი ხდება. ღირს კი ქართული სპორტის ასე გაწირვა? თუ რომელიმე სამინისტროში სპორტი უნდა შევიდეს, როგორც დეპარტამენტი, განა ამით რამეს მოვიგებთ? ალბათ ისევ აჯობებდა სპორტის დეპარტამენტი დარჩეს დამოუკიდებელ სტრუქტურად, აწყობილ სისტემას ნუ დავანგრევთ. ნუ დავივიწყებთ, რომ სპორტი ერთადერთი დარგია ჯერჯერობით, სადაც სახელმწიფო სახსრები უდიდესი უკუგებით უბრუნდება ქვეყანას. სპორტის დეპარტამენტს, რომ პატრონი არ ჰყავდეს და ჩაფლავებული ჰქონდეს საქმე, სხვა საკითხია, მაგრამ ასე რომ არ არის და მადლობის მეტი რომ არაფერი ეთქმის. მაინც გავწიროთ? აი, სად გვინდა ღრმად დაფიქრება.

მიმომხილველი

P.S. წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, „ლელოს" რედაქცია სხვათა მოსაზრებებსაც დიდი სიამოვნებით გაუზიარებს მკითხველებს.




## დინამო (თბ.) – არსენალი (თბ.) 5-1 (3-1)

*დინამო:* გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა (ა. სახვაძე, 84), მუჯირი (კობიაშვილი, 46), გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (ლ. მელქაძე, 76), აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი.

*არსენალი:* ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე (ყუფარაძე, 46), გველესიანი, მ. თევზაძე, მაისურაძე, ყოლბაია (ამირიძე, 60), ლომაია, ლ. კორღალიძე, კაკაშვილი (შ. ლაცაბიძე, 46), ტარიელაშვილი.

*გოლები:* 0-1 კაკაშვილი (6), 1-1 აშვეთია (11), 2-1 ხომერიკი (17), 3-1 ხომერიკი (43), 4-1 კიკნაძე (72), 5-1 მელქაძე (89).

*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო – მიმდინარეობდა მხოლოდ მე-6 წუთი, როცა პირველი ჯგუფის დებიუტანტი გუნდის ცნობილმა ვეტერანმა მცველმა გიორგი ფირცხალავამ „ახალგაზრდობა გაიხსენა" და ჩვეულ სტილში მარჯვენა ფრთიდან სახიფათო გარღვევა განახორციელა, გასცდა დინამოელთა ორ მცველს და ცენტრში გამოზომილი გადაცემით „ზედ თავზე" დაასვა ბურთი აკაკი კაკაშვილს, რომელმაც ორიოდე მეტრიდან ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა.

ასეთი დასაწყისი ბევრ მეტოქეს დააბნევდა, მაგრამ არა „დინამოს". გუნდმა ტემპს უმატა თუ არა, ცხადი გახდა, რომ „არსენალის" მცველები აშკარად ვერ უმკლავდებიან შედარებით სწრაფად მოთამაშე დინამოელებს. განსაკუთრებით აქტიურად ირჯებოდა მარცხენა ფრთაზე ალექსიძე. სწორედ მისი გარღვევების შემდეგ დინამოელებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი საქმე დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

განვლილ მატჩს პასუხი უნდა გაეცა, რამდენად მზადაა „დინამო" „ატლეტიკთან" სათამაშოდ. „ვლაუნიას" წინააღმდეგ რომ გუნდი წარსდგა, ცხადია, „დინამო" ახლა ის აღარაა. პროგრესი აშკარაა. თბილისელთა კოლექტივი შემადგენლობითაც გაძლიერდა (გვარამაძე, კიკნაძე) და სათამაშო ტაქტიკაშიც სასიკეთო ცვლილებები მოხდა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ბასკთა წინააღმდეგ „დინამო" ბრძოლისუნარიან გუნდად წარმოგვიდგება, მით უფრო, თუ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს კიდევ თურქეთის „ტრაბზონსპორიდან" გოჩა ჯამარაულიც შეემატა (ამ საკითხზე „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე, ტრაბზონში იმყოფება).

ჯემალ ჭიპაშვილი

*სურათზე: კიკნაძის ამ დარტყმის შემდეგ „არსენალის" კარში მეოთხე გოლი გავიდა*

**„კოლხეთი-1913" (ფოთი) – ლოკომოტივი (თბ.) 0-0**

## თურქეთი ჯამარაულს არ თმობს

ასეთი არასასიამოვნო ამბავი ჩამოიტანა ნუხელ თურქეთიდან დაბრუნებულმა რომან შოთაძემ.

პირველი ტურის დანარჩენი მატჩები 7 და 8 აგვისტოს გაიმართება. დღეს, ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე „მერანი-91" წყალტუბოს „სამგურალს" მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდში მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ექნებათ ახალგაზრდა სპეციალისტებს სერგო გაბელაიას და გაიოზ დარსაძეს. მატჩის არბიტრად თბილისელი სოსო კახიანია დანიშნული. ბათუმის „დინამო" თბილისის „ვიტ-ჯორჯიას" მიიღებს. აჭარაში სამსაჯოდ სერგო კვარაცხელია ჩავა.

ხვალ გაიმართება კიდევ ოთხი მატჩი. ბოლნისში „სიონი" მიიღებს „გურიას". ორივე გუნდი დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და მხოლოდ ამ დღეებში შეუდგა ვარჯიშს. ლანჩხუთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი, როგორც ვიტყობინებოდით, ჯონი ჯანელიძე გახდა. მცხეთაში თსუ ქუთაისის „ტორპედოს" მიიღებს, ზუგდიდში „ოდიში" — სამტრედიის „იბერიას", ხოლო რუსთავში „მეტალურგი" — გორის „დილას".

## ქართველები, ოსები და უკრაინელები ყაზბეგზე

ამ დღეებში დაიწყება და 18 აგვისტოს დასრულდება საერთაშორისო ალპინიადა, რომელიც ეძღვნება მწვერვალ ყაზბეგის პირველი [illegible] 75 წლისთავს. ღონისძიებების ორგანიზატორები არიან ჩრდილო ოსეთი — ალანიას და საქართველოს სპორტის ხელმძღვანელი ორგანოები. ალპინიადაში მონაწილეობენ აგრეთვე უკრაინელი მთამსვლელები.

საქართველოს 15-კაციან ჯგუფს უხელმძღვანელებს გია თორთლაძე — 7-8 თბილისელს ყაზბეგელებიც დაემატებიან. ხარჯები საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა გაიღო.

„ბუმათე"

## ბათუმის „დინამოს" თავისი სახელი აღარ მოსწონს

ბათუმიდან მიღებული ცნობით, აჭარის უზენაესი საბჭოს მხარდაჭერით გამოცხადდა კონკურსი ბათუმის „დინამოს" ახალი სახელის შესარჩევად.

## ინტერტოტოს თასი

განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები

სამსუნსპორი (თურქეთი) — *ვერდერი (გერმანია)* 0-3 (0-3); სამპდორია (იტალია) — *ბოლონია (იტალია)* 1-0 (1-3); *ვალენსია (ესპანეთი)* — ესპანიოლი (ესპანეთი) 2-0 (1-0); დებრეცენი (უნგრეთი) — *რუხი (პოლონეთი)* 0-3 (0-1); *ზალცბურგი (ავსტრია)* — სიტარდი (ჰოლანდია) 3-1 (1-2); *ვოივოდინა (იუგოსლავია)* — ბასტია (საფრანგეთი) — 4-0 (0-2).




იხ. მე-3 გვ

## „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის კვალდაკვალ




## ნანობენ, მაგრამ... ბევრსაც მოუმატეს

*ჩვენი გაზეთის 59-ე ნომერში გამოქვეყნდა საგანგაშო წერილი სათაურით „მიდით, მიდით, ვიდრე მართლა განუკითხაობაა", რომელიც თბილისში, სანაპიროზე, ტანვარჯიშული დარბაზის წინ ავტოსამრეცხაოს მშენებლობას შეეხებოდა. საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ქალბატონმა მზია ჯუღელმა ამ მშენებლობის შეჩერება მოითხოვა და არგუმენტებიც დაასახელა.*

*დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობა, მთავარი არქიტექტორის აპარატი, ყველა, ვისაც ნებართვის გაცემასთან აქვს კავშირი, ძალიან შეწუხებულან. ადგილზე, საკუთარი თვალით უნახავთ რა განუკითხაობაც ხდება. მოდური თვალთმაქცობაა: მიდი, მომჩივანს მოეფერე, შეწუხდი, გამოთქვი სინანული, მერე გამოტრიალდი და ისევ შენს საქმეს მიხედე. აქაც ასეა: ნანობენ, ეს რა შეცდომა მოგვსვლია, აქ მართლა როგორ შეიძლება რაიმეს ჩადგმა, ეს როგორ წაუხდენიათ აქაურობა, გაუნადგურებიათ ნარგავები... და, ჰოი, საოცრებავ! რაც უფრო „ღრმაა ეს სინანული", მით უფრო იზრდება მშენებლობის ტემპი. გვინდა ვიკითხოთ: კარგო ადამიანებო, ვიდრე ნებართვას გასცემდით, განა არ იცოდით, რომ იქ სპორტულ დარბაზში შესასვლელი ვიწროვდებოდა, ხედი უშნოვდებოდა, მიწისქვეშ გამავალი კომუნიკაციები დაზიანდებოდა, გამწვანება განადგურდებოდა? როგორ არა, იცოდით, მაგრამ...*

*ჯერ კიდევ ვიტოვებთ იმედს!*



## თურქი ყმაწვილის დაღუპვა ქართველ თანატოლებს ბრალდება

ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ეს ეჭვი გახდა იმის საბაბი, რომ გალის რაიონიდან ლტოლვილი რამდენიმე ბავშვი, რომლებიც რეაბილიტაციის მიზნით მიწვეულნი იყვნენ თურქეთში, წინასწარი სასამართლოს სანქციით დააპატიმრეს. საქმეში ჩარეულია ორივე ქვეყნის სამთავრობო ორგანოები, დიპლომატები, ექსპერტები, იურისტები და ფიქრობენ, რომ სიმართლე მალე დადგინდება.

ბავშვები არ იყვნენ ფეხბურთელები, ყველაფერი ბურთის სათამაშოდ მინდვრის დათმობისათვის წაკინკლავებით დაწყებულა, თუმცა, ექსპერტის დასკვნაც ადასტურებს, რომ 14 წლის თურქი ყმაწვილი ფიზიკური ტრავმის შედეგად არ გარდაცვლილა.

## დებიუტანტი

### დათო ხაბულიანი

ძიუდო



დაიბადა 1981 წლის 4 აპრილს ლენტეხში
წონა 120 კგ.
სიმაღლე 190 სმ.
ძიუდოში ვარჯიშობს 1996 წლიდან
მწვრთნელი – მორგენ ხაბულიანი
ლენტეხის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეა.
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრი.
არის საქართველოს ჩემპიონი,
საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი,
ჭაბუკთა ეროვნული ნაკრების წევრია.
გატაცებულია ბუნებაში სეირნობით,
უყვარს ბალეტი.

## ქართველი ბორჯღალოსნები საფუძვლიანად ემზადებიან



მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიდან შემდგომ ეტაპზე წარმატებით გასული საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამ შემოდგომით რუმინეთთან და ირლანდიასთან საბრძოლველად ემზადება. ამ დღეებში ქართველი ბორჯღალოსნები საფრანგეთიდან დაბრუნდნენ, სადაც ნაყოფიერად გაიარეს საწვრთნელი შეკრება.

ახლა მორაგბეები რამდენიმე დღეს დაისვენებენ,ხოლო შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელის გურამ მოდებაძის ხელმძღვანელობით კვლავ შეუდგებიან ვარჯიშს. 20 აგვისტოს თბილისს ცნობილი სპეციალისტი ფიზიკურ მომზადებაში ტიერი რუდორი ეწვევა,რომელიც ჩვენს სპორტსმენებს გამძლეობაში ავარჯიშებს. შემდეგ,უკვე სექტემბერში ნაკრების კონსულტანტი,ფრანგი კლოდ სორელიც ჩამოვა და გულდაგულ შეამოწმებს თითოეული მოთამაშის მზადყოფნას. იმავე პერიოდში საქართველოს ეწვევა საფრანგეთის არმიის მორაგბეთა ნაკრები, რომელიც მასპინძლებთან რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების ბოლო ეტაპს ქართველი ბორჯღალოსნები კვლავ საფრანგეთში გაივლიან – იქაური ვიზიტის ერთთვიან ხარჯებს ფრანგები გაიღებენ.

# „დინამო" – „მრეტების" კონფლიქტს ექო

**ტელეფაქსი გერმანიიდან | წერილი მეორე**

დასაწყისი იხ. „ლელო" №61

## „სფფ-ს თამაში – 98"

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფიფა-ს 16.04.1998 დირექტივა მკაცრი გამოდგა – თუ საკითხი 15.05. 1998-მდე არ მოგვარდება, საქმეს გადავცემო ფიფა-ს აღმასკომს მოთხოვნით, რომ თქვენი კლუბის და თქვენი ფედერაციის მიმართ საჭირო ღონისძიებები განახორციელოსო.

ფკ დინამო თბილისმა ბოლო ნაბიჯი გადადგა – ზემოაღნიშნულ საკითხზე სარჩელი შეიტანა სამოქალაქო სასამართლოში, რითაც დაარღვია ფიფა-სფფ-ს წეს-კანონები, ფიფა-ს შესაბამისი დირექტივები, სფფ-ს 1.09.1996 დადგენილების მე-4 მუხლი:

„ფკ დინამო თბილისსა და ფკ მრეტები თბილისს ურთიერთშორის საკამათო საკითხების სამოქალაქო სასამართლოსათვის გადაცემა სფფ-ს წესდების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ჩაეთვლებათ სფფ-ს წესდების უხეშ დარღვევად. ასეთ შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებულ იქნება შესაბამისი დისციპლინარული სანქციები".

სფფ-მ შესანაშნავად იცის, რომ იგი ვალდებულია ფკ დინამო თბილისის მიმართ შესაბამის სანქციებს მიმართოს, თან 15.05. 1998-მდე. საკითხის საბოლოო გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დამდგარმა სფფ-მ შემდეგ ტაქტიკურ სვლას მიმართა.

ბატონმა გენერალურმა მდივანმა თავის 8.05.1998 ინტერვიუში საჯაროდ უკარნახა ფკ დინამო თბილისს: „დინამოს" შეეძლო სარჩელი შეეტანა აღმასკომის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა". რეზონანსი, №122.;

დიახ, სფფ-სთვის ცნობილია, რომ ფკ მრეტები თბილისმა, მით უფრო ფიფა-მ შესანიშნავად იცის აპელაციის პროცედურის შესახებ – სფფ-ს საგანგებო კომიტეტის 1.09.1997 დადგენილება ეს იგივე სფფ-ს აღმასკომის დადგენილებაა, რადგან სფფ-ს საგანგებო კომიტეტს ირჩევს სფფ-ს აღმასკომი სწორედ სფფ-ს აღმასკომში აპელაციის შემთხვევაში და იგი ეროვნული მასშტაბით საბოლოოა.

დიახ, სფფ-მ შესანიშნავად იცის ეს და სწორედ ამიტომ სფფ-ს ტერმინი „აპელაცია" „სარჩელით" შეცვალა (თითქოსდა ეს ერთი და იგივე არ იყოს) და რა საჭირო იყო სამოქალაქო სასამართლო, რასაც ფიფა კრძალავს, სარჩელის შემოტანა ხომ სფფ-შიც შეიძლებოდაო.

ამ მაგიური რჩევის საფუძველზე „დინამომ" იმავე დღესვე (!) მიმართა სფფ-ს გენერალურ მდივანს, სფფ-ს გენერალურმა მდივანმა იმავე დღესვე (!) მიმართა სფფ-ს აღმასკომს, სფფ-ს აღმასკომმა იმავე დღესვე (!) კვლავ განიხილა საკითხი, კვლავ მოუსმინა „დინამოს", რომელმაც აუხსნა აღმასკომის წევრებს, ნუ გეშინიათ, ფიფა თანხის გადახდას არ ითხოვსო და ა.შ., რაღაც „ახალ საბუთებს" შეპირდა მათ და სამოქალაქო სასამართლოში მიიპატიჟა ისინი! ახალი თაობა, 9.05.1998

სფფ-ს აღმასკომის სხდომის შემდეგ:

11X11 (9.05.1998): „ფიფა-ს წესდება სამოქალაქო სასამართლოში ჩივილს კრძალავს".

*ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი:* „სამოქალაქო სასამართლოში არ გვიჩივლია".

*ფკ დინამო თბილისის ვიცე-პრეზიდენტი:* „იურისტების მონაცემებით კონტრაქტში არსებობს სამოქალაქო და კონსტიტუციური დარღვევები. ამიტომ შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში".

თავადაც კარგად იციან, სახიფათო თამაშს რომ თამაშობენ. მათზე უკეთ კი სფფ-მ იცის ეს.

ამასობაში ვადა ამოიწურა. სფფ-ში რეკავს ფიფა, ითხოვს პასუხს. სფფ რამდენიმე დღეს თხოვს ფიფა-ს „სრულიად ახალ საბუთებში გასარკვევად". მაგრამ რამდენიმე დღე საკმარისი არ არის. ან რა უნდა უყონ აკრძალულ საკითხზე ფკ დინამო თბილისის მიერ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის ფაქტს?! ფკ მრეტები თბილისი ხომ დაწვრილებით ინფორმაციებს აწვდის ფიფა-ს.

და იმავე დღესვე სფფ-ს გენერალური მდივანი, როგორც 11X11 წერს, საკუთარი ინიციატივით მიდის რედაქციაში ინტერვიუს მისაცემად. 11X11, №65. 18.05.1998.

*დ. კვინიკაძე:* „დინამოს" ახლანდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 1992 წელს კლუბის სათავეში სხვები იყვნენ და ახლანდელი კლუბი მაშინდელის სამართალმემკვიდრე არ არისო და ამიტომაც მიაჩნიათ, რომ თანხა მათი გადასახდელი არაა. ჩემს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული სამართალმემკვიდრეობის დადგენა. ეს საქმე სხვა ადგილას, იურიდიულ სიბრტყეშია გადასაწყვეტი." 11X11, 18.05.1998.

დიახ, კვლავ მაგიური კარნახი!

ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი: „არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ძალზე სერიოზული არგუმენტები გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენი მხრიდან არ მოხდეს თანხის გადახდა. ჩვენ არ ვართ იმ ხალხის მემკვიდრე, რომლებმაც თავის დროზე ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებით „მრეტებთან" კონტრაქტი გააფორმეს. კომისიაში, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, საქმეს ძალზე სერიოზულად ეკიდებიან. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტორს გაითვალისწინებენ და დინამო გამარჯვებული დარჩება. განვმეორდები და ვაცხადებ, ჩვენ არანაირად არ ვთვლით თავს იმ ხალხის სამართალმემკვიდრედ." 11X11, 19.06. 1998.

დიახ, სფფ-მ მიაგნო საჭირო მოტივაციას (თუმცა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ანდრიაძე არ იზიარებს ამ აზრს: „მათ საბუთებში ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს". 11X11, 08.06.1998):

მართალია, ფკ დინამო თბილისმა სამოქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, მაგრამ ეს მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის (უფლებამონაცვლეობის) გარკვევის მიზნით. სამართალმემკვიდრეობის საკითხი კი სფფ-ს კომპეტენციაში არ შედის. იგი „იურიდიულ სიბრტყეშია გადასაწყვეტი" ანუ სამოქალაქო სასამართლოში. და თუ სამოქალაქო სასამართლო გადაწყვეტს, რომ „დიდი დინამო" 1992 წლიდან აღარ არსებობს, რა თქმა უნდა, გადასახდელიც აღარაფერი ექნება.

და როგორც სფფ-ს გენერალურმა მდივანმა მისი ინტერვიუთი გაოცებულ „მრეტებს" განუცხადა, სფფ-მ ფიფა-ს ტელეფაქსით თხოვა, რათა ფიფა-მ ადროვოს სფფ-ს თავისი გადაწყვეტილებების შესრულება, რადგან ირკვევა ფკ დინამო თბილისის სამართალმემკვიდრეობის საკითხი.

ფიფა იძულებულია დააკმაყოფილოს სფფ-ს თხოვნა.

ჩვენ, თავდაპირველად, ვფიქრობდით, ფკ მრეტები თბილისის ადვოკატების საშუალებით წარმდგარიყო ამ სასამართლო პროცესზე, მაგრამ შემდგომ, ჩვენი ადვოკატის რჩევით, ამაზე უარი განვაცხადეთ. ამის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ კიდეც სფფ – ფიფა-ს 19.06.1998 ტელეფაქსით, სადაც დასკვნის სახით აღვნიშნავდით:

„ამდენად, დღეიდან, ფკ. მრეტები თბილისი ამ სასამართლოს პროცესზე, როგორც მოპასუხე, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოცხადდება, თუ სფფ, ასევე როგორც მოპასუხე, გამოცხადდება ამ სასამართლო პროცესზე – კანონი ერთია ყველასთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფკ დინამო თბილისთან ერთად, ფკ მრეტები თბილისიც დაისჯება სფფ – ფიფას მიერ".

ერთი სიტყვით, როგორც ვნახეთ, სფფ-მ ფიფა-ს 16.04.1998 დირექტივა და შესაბამისად, ეს ეტაპი გაიარა: ჯერ ფიფა-ს არჩევნები მოდის, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი, შემდეგ სფფ-ს არჩევნები და ამ საქმისთვის ვისღა ეცლება. შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება და...

და ამ დროს ფკ დინამო თბილისის სასარჩელო განცხადებაში სამართალმემკვიდრეობის უფლებამონაცვლეობის საკითხზე სიტყვაც არ არის დაძრული! დიახ, ყალბი ინფორმაცია წავიდა ფიფა-ში!

ჩვენ ხელთა გვაქვს სასარჩელო განცხადება, რის მიხედვითაც მოპასუხე მხარეები არიან ფკ მრეტები თბილისი და სფფ, ხოლო მოსარჩლე მხარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო სასამართლოს მიმართავს ერთადერთი თხოვნით:

„გთხოვთ, განიხილოთ წინამდებარე სარჩელი და საქართველოს სს კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად ბათილად ცნოთ მოტყუებისა და ცდომილების ზეგავლენით 11.07.1992 კონტრაქტში შეტანილი სადავო მე-3 მუხლი. ამასთან ერთად, გააუქმოთ სადავო მე-3 მუხლზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 2.01.1997 დადგენილება".

ეს კი ფიფა-სფფ-ს მიერ აკრძალული ხილი გახლავთ და სათანადო სასჯელს იმსახურებს.

ან კი ვინ დაიჯერებს ამ გაუგონარ სიცრუეს, რომ თვალსა და ხელს შუა გაქრა „დიდი დინამო" და ამის შესახებ დღემდე არავის არაფერი სმენია! არც გულშემატკივარს! არც ჟურნალისტებს! და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სფფ-ს!

მაგრამ ამას სფფ-სთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – სამოქალაქო სასამართლო „გააქრობს დიდ დინამოს" და არა სფფ! შესაბამისად, „ახალ დინამოს" აღარაფერი აღარ ექნება გადასახდელი. შესაბამისად, სფფ-ც აღარაფერ შუაში იქნება. და ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა გამარჯვებულის ტონით (სასამართლოში ხომ მათ პრობლემები არ აქვთ!) აცხადებს:

„ჩვენ ერთხელაც ვაცხადებთ, რასაც სასამართლო გადაწყვეტს, რა განაჩენსაც გამოიტანს. იმას დავემორჩილებით". სარბიელი, 28.06.1998.

მაგრამ ფკ მრეტები თბილისის მიერ სფფ-ფიფაში გაგზავნილი ფაქსი თავდაყირა აყენებს ამ გეგმებს:

ვინაიდან კლუბის სპორტული მემკვიდრეობის (სპორტული ტიტულები, ლიგებში ადგილები და ა.შ.) გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ. არ შეიძლება და იგი კლუბიდან კლუბს გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი კლუბი მეორე კლუბის სამართალმემკვიდრე (უფლებამონაცვლე) ხდება, ამდენად, „დღევანდელ" ფკ დინამო თბილისს, 1992 წლიდან დღემდე სფფ-უეფა-ფიფა-ს და მთელი მსოფლიოს მოტყუებისათვის, მთლიანად ჩამოერთმევა „ძველი დინამოს" სპორტული მემკვიდრეობა, ლიგაში ადგილი, 1992 წლიდან უეფა-ს და ფეხბურთელების ტრანსფერის საშუალებით მიღებული თანხები და თუ საერთოდ მისცემენ ფეხბურთის თამაშის უფლებას, მაშინ მან თამაში ყველაზე ქვედა ლიგიდან უნდა დაიწყოს! ხოლო მის დღევანდელ ხელმძღვანელობას აეკრძალება ფეხბურთში მუშაობა! დასჯას ვერც სფფ გადაურჩება! რაც შეეხება ფკ მრეტები თბილისს, ასეთ შემთხვევაში, „სადავო" ტრანსფერის თანხას მთლიანად ფკ მრეტები თბილისი მიიღებს!

შესაბამისად, ფიფა-დან ახალი 6.07.1998 დირექტივა მოდის – საკითხის გადაჭრის საბოლოო ვადაა 31.08.1998. წინააღმდეგ შემთხვევაში ფკ დინამო თბილისის და სფფ-ს საკითხს ავტომატურად განიხილავს ფიფა-ს აღმასკომის სექტემბრის სხდომა.

და ჩვენ ვფიქრობდით, რომ 13.07.1998-სთვის დანიშნული სამოქალაქო სასამართლო სხდომა და საერთოდ ეს სასამართლო პროცესი არ შედგებოდა, რადგან ფკ დინამო თბილისი, როგორც სასარჩელო განცხადებით გათვალისწინებული საკითხის, ისე უფლებამონაცვლეობის საკითხის დაყენების შემთხვევაში სფფ – ფიფა-ს მხრიდან დასჯას ვერ ასცდებოდა.

მაგრამ ცაიტნოტში მოხვედრილი ფკ დინამო თბილისის მოქმედებათა პროგნოზირება ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა...

და აი, 13.07.1998 -სთვის დანიშნული სამოქალაქო სასამართლო სხდომის დღეც დადგა. „მრეტებიდან" მიღებულმა ფაქსმა შემდეგი გვამცნო:

„გაიმართა სასამართლო. სფფ არ გამოცხადდა. შესაბამისად. „მრეტები" სხდომას დაესწრო არამოპასუხის როლში. „დინამოს" მხარე წარმოადგინა ადვოკატმა ხუციშვილმა. მან გააკეთა „მრავალგვერდიანი მოხსენება" ამტკიცებდა რამდენიმე „მრეტების" არსებობას; ამტკიცებდა რამდენიმე „დინამოს" არსებობას (მოსამართლემ შეაჩერა: „გეყოფა, სად გაქრა ის „დინამო"!); მოითხოვა 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტის გაუქმება; მოითხოვა სფფ-ს 2.01.1998 დადგენილების გაუქმება; მოითხოვა სფფ-ს გენერალური მდივნის პასუხისგებაში მიცემა.

სასამართლომ მოისმინა ერთი მხარის („დინამოს") მოთხოვნები და გამოიტანა გადაწყვეტილება:

1. გაუქმდეს 1992 წლის 11 ივლისის ტრანსფერის კონტრაქტი.

2. გაუქმდეს სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის დადგენილება.

გაუქმების მოტივაციები არ უთქვამთ (!) – ამას ჩვენ მერე დავწერთო.

წერილობით გადაწყვეტილებას ერთ კვირაში მოგცემთო..."

დიახ, დღეს უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. თუ სადამდე მიგვიყვანა „სფფ – დინამოს" ე.წ. ეროვნულმა თამაშმა! ურწმუნო თომებს კი ვურჩევთ გააგრძელონ წერილის კითხვა.

(გაგრძელება იქნება)

# პოლონური ფეხბურთის ქართული პარალელები

„ლელო“ იტყობინებოდა, რომ ფიფა პოლონეთის ხელისუფლებს დაემუქრა – ჩვენი რიგებიდან გავრიცხავთ თქვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასო. შეგახსენებთ, რომ სამი თვეა, რაც პოლონეთის სპორტის მინისტრმა მარეკ დებსკიმ თანამდებობიდან გაათავისუფლა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მარიან ჯუროვიჩი და მასთან ერთად მთელი აღმასკომი. ამ ამბავმა ფიფა აღაშფოთა – 7 აგვისტომდე თქვენი პრობლემები მოაგვარეთო.

ამრიგად, შარშანდელი საქართველოს სიტუაცია განმეორდა. მაშინ, როგორც გახსოვთ, მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის ჩარევამ განმუხტა სიტუაცია. პოლონეთში კი სხვაგვარად მოხდა: კრიზისულ სიტუაციაში პოლონური კლუბების ხელმძღვანელებმა მინისტრის მხარე დაიჭირეს, რამაც დებსკის მოქმედების მეტი საშუალება მისცა, ხოლო ფედერაციის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. რათა ფიფა არ გაეღიზიანებინათ, კლუბის ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს მხოლოდ ფედერაციის პრეზიდენტის თავის პოსტზე დაბრუნებას, იმავდროულად, სანამ არ დამთავრდება გამოძიება ფედერაციის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით, უფლებებში არ აღადგინეს გადაყენებული აღმასკომის წევრები.

*პოლონურ ფეხბურთში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ფედერაციის ხელმძღვანელობამ უარი თქვა წარედგინა სპორტის სამინისტროს ინსპექტორებისათვის თავისი ფინანსური საქმიანობის ანგარიში. ამიტომ გახდა იძულებული მინისტრი თანამდებობიდან გადაეყენებინა ფედერაციის ყველა ხელმძღვანელი. პოლონეთიდან მოსული ბოლო ინფორმაციით, ფედერაცია დათანხმდა მთლიანად შემოწმდეს მისი ფინანსური საქმიანობა. თავად პრეზიდენტს კი სამინისტრომ მოსთხოვა საკუთარი სურვილით გადადგეს. მოვლენათა ასეთი განვითარება, ეტყობა, ფიფამაც მოიწონა, რადგანაც პოლონური კლუბები ევროტურნირებში საასპარეზოდ დაუშვეს.*

## ქართველი ინვალიდები მონდიალის დებიუტანტები არიან

ინგლისის ქალაქ მანჩესტერში ფეხბურთში სპორტსმენ-ინვალიდთა მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს ნაკრები, რომელიც პირველად გამოვა ასეთი რანგის შეჯიბრებაში.

ინგლისში საასპარეზოდ თავი მოიყარა 12 ნაკრებმა, მ[illegible] შორის, მსოფლიო ჩემპიონმა – უზბეკეთის გუნდმა, რომელიც ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა და სპორტის სასახლეში ამხანაგური მატჩი გამართა ქართველ ინვალიდებთან. ანგარიშით 2-0 ჩვენებმა გაიმარჯვეს.

მანჩესტერში საქართველოს ნაკრების გამგზავრების ს[illegible]ხრები მთლიანად გაიღო საქართველოს ინვალიდთა ფედერაციამ, ხოლო სპორტული ფორმით გუნდი უზრუნველყო სფფ-მ. ინვალიდთა მონდიალი 12 აგვისტოს დასრულდება.

# გიორგი დემეტრაძე: „ეკერენს“ „ალანია“ ვარჩიე და არც შევმცდარვარ

***გიორგი დემეტრაძეს თბილისის „დინამოს“ დილმის ბაზაზე შევხვდით. იგი ქართველ ლეგიონერთაგან, თამამად შეიძლება ითქვას, ბოლო თვის ყველაზე პოპულარული მოთამაშეა – ხუმრობა ხომ არაა, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ნათამაშევ ოთხ მატჩში გიორგის ანგარიშზე უკვე 7 გოლია***



● *გიორგი, წლის დასაწყისში ჰოლანდიის „ფეიენოორდში“ ურიგო დებიუტი არ გქონია, მერე რა მოხდა?*

— დიახ, როტერდამის „ფეიენოორდთან“ ექვსთვიანი ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული. თავდაპირველად, 7 მატჩი ვითამაშე ძირითად შემადგენლობაში და აქედან 6 მოვიგეთ, ერთიც ფრედ ვითამაშეთ.

● *და მაინც ფეხი ვერ მოიკიდე ამ კლუბში.*

— მთელი უბედურება ის იყო, გოლი ვერ გამქონდა. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ფორვარდი ხარ, თუ ბურთი არ შეაგდე. ამიტომაც სათადარიგოთა სკამზე მოვხვდი, ეს ხელს არ მაძლევდა და გადავწყვიტე გუნდი გამომეცვალა.

● *სეზონი რომ დამთავრდა, ხმა გავრცელდა დემეტრაძე ბელგიურ „ეკერენში“ გადადისო.*

— დიახ, ჩემი აგენტის მეშვეობით ეს ვარიანტი სწრაფად გამოიძებნა. ვიფიქრე, თბილისში რამდენიმე დღით ჩავალ და მერე ბელგიას მივაშურებ-თქო. მაგრამ შინ რომ ჩამოვედი, „ალანიას“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა. ბევრი არ მიფიქრია, „ეკერენს“ ისევ ოსური კლუბი ვარჩიე და არც ვნანობ. ჩემი არჩევანი ვლადიმერ გუცაევის აზრებსაც დაემთხვა — მას, თურმე, კარგა ხანია ვალერი გაზაევი ეჩიჩინებოდა, ეს ბიჭი ჩემთან გამოუშვითო.

● *რამდენწლიანია კონტრაქტი?*

— წელიწადნახევრიანი, მაგრამ გაზაევმა ახლავე გამაფრთხილა — არავის შეპირდე, „ალანიაში“ იმ საუკუნეშიც უნდა ითამაშოო. ისე, ვლადიკავკაზი ძალიან მომწონს, ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია, მთელი მოსახლეობა ფეხბურთით სუნთქავს. რაც შეეხება თავად გუნდს, მეგობრული კოლექტივია, გაზაევის სათამაშო კონცეფციაც მომწონს — იგი შემტევ ფეხბურთს სცემს თაყვანს, ორი ფორვარდით კი თამაშობს, მაგრამ შეტევაში 5-6 ფეხბურთელი ყოველთვის მონაწილეობს, თანაც ჩემს გვერდით საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ, ვთქვათ, ბრაზილიელი ლეგიონერები. 7 გოლი რომ გავიტანე, მათი დიდი დამსახურებაა.

● *5 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. „ალანიაში“ თუ ასეთი წარმატებით გააგრძელე, ალბათ, გუცაევიც მოგიწვევს გუნდში.*

— ჯერჯერობით არ ვიცი რას ფიქრობენ ჩემზე ნაკრების მწვრთნელები. იმ შემთხვევაში, თუ გამომიძახეს, შევეცდები იმედები არ გავუცრუო.

● *კიდევ ხომ არაფერს დაამატებდი?*

— მინდა გულთბილად მოვიხსენიო ყველა ის მწვრთნელი და ფეხბურთის სპეციალისტი, რომელიც ოდესმე დამხმარებია გზა გამეკვლია დიდ ფეხბურთში. განსაკუთრებით მინდა ამ მხრივ ბესო კირვალიძე მოვიხსენიო — მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი.

ესაუბრა
ჯემალ ჭიკაშვილი

# ისევ ტრანსფერების შესახებ

## კომერსანტობას ამას ჰქვია

„ლელო“ იტყობინებოდა, რომ ამ დღეებში პსვ „ეინდჰოვენმა“ ვლადიკავკაზის „ალანიიდან“ ქართველი ნახევარმცველი *გოგა გახოკიძე* გადაიბირა. კონტრაქტი ხუთწლიანია და მისი თანხა 2 მილიონ დოლარს შეადგენს. გუშინწინ კი ინტერნეტით



გოგა გახოკიძე

ახალი ცნობა გავრცელდა — პსვ „ეინდჰოვენმა“ ჰოლანდიის ნაკრების 31 წლის ნახევარმცველი *ვიმ იონკ[illegible]* 4,11 მილიონ დოლარის საფასურად დაუთმო ინგლისის პრემიერლიგის „შეფილდ უენსდეის“. როგორც ხედავთ, ჰოლანდიურმა კლუბმა ბოლო დღეებში ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვით 2,11 მილიონი დოლარი მოგება ნახა.



## ვენეიბლზის უცნაური არჩევანი

უცნაური რამ მოხდა – ინგლისის პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასმა“ ყველასათვის მოულოდნელად ორი ჩინელი ფეხბურთელი – ფანგ ზიუი და სუნ ჯი შეიძინა. აზიელი ფეხბურთელების ყიდვის იდეა „კრისტალ პალასის“ ახალ მწვრთნელს, წარსულში ინგლისის ნაკრების თავმდგომ ტერი ვენეიბლზს ეკუთვნის. სწორედ ასეთი იაფფასიანი ფეხბურთელებით აპირებს ინგლისური კლუბი დაბრუნებას პრემიერ-ლიგაში.

## კლუივერტი „მილანში“ რჩება

„მილანისა“ და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის პატრიკ კლუივერტისათვის წლევანდელი მონდიალი წარმატებული გამოდგა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მისი ხელში ჩაგდება ბევრმა კლუბმა მოინადინა. კვირა არ გავა, რომ უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა არ გაავრცელონ ინფორმაცია ამ ფეხბურთელის ამა თუ იმ გუნდში გადასვლაზე. ბოლო თვის მანძილზე პატრიკი ჯერ „არსენალის“ წევრი გახადეს, შემდეგ „ტოტენჰემის“, „ლელოს“ წინა ნომერში ამ ცნობაზე დაყრდნობით მკითხველს ისიც ვაუწყეთ, რომ კლუივერტის ტრანსფერი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაწყვეტილიაო და თანხაც კი დავასახელეთ, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ სილვიო ბერლუსკონის კლუბს უხდიდა.

გუშინწინ კი „როიტერმა“ ინტერნეტით ახალი ცნობა გაავრცელა – ტრანსფერის მხარეებმა მოლაპარაკება ჩაშალეს და ჰოლანდიელი ვარსკვლავი ისევ „მილანში“ დაბრუნდაო.

## დაბრუნდება ჟუნინიო ინგლისში?

როგორც გახსოვთ, ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი *ჟუნინიო* მადრიდის „ატლეტიკოში“ ინგლისური „მიდლსბროდან“ გადავიდა. მას შემდეგ, რაც ესპანური კლუბიდან წავიდა მწვრთნელი რადომირ ანტიჩი, ჟუნინიომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღარ სურს გუნდში დარჩენა. ეს რომ შეიტყვეს, ბრაზილიელის ხელში ჩაგდება ბევრმა მოინადინა. ყველაზე მეტად მაინც ინგლისური „ასტონ ვილაა“ დაინტერესებული. მისი მენეჯერი ჯონ გრეგორი, თურმე, მზადაა „ატლეტიკოს“ 20 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გრეგორი ჩაფრინდა ჰოლანდიაში, სადაც ესპანური კლუბი წინასასეზონო მზადებას გადის. იგი შეხვდა როგორც „ატლეტიკოს“ მესვეურებს, ისე თავად ჟუნინიოს. თითქოსდა, მოლაპარაკება წარმატებით უნდა დასრულებულიყო, რომ არა ერთი „წვრილმანი“ – ამჟამად ინგლისურ კლუბს ჟუნინიოს შესაძენად თანხა არ გააჩნია. თურმე, „ასტონ ვილა“ 15 მილიონ გირვანქა სტერლინგად აპირებს გაყიდოს თავისი თავდამსხმელი დუაიტ იორკი. სწორედ ეს ფულია განკუთვნილი ბრაზილიელი ფეხბურთელის საყიდლად.



*სურათზე: ჟუნინიო*

# მარიო კვლავ სუპერია

ხვალ, გერმანიის ლიგის თასის ფინალში შეხვდებიან „შტუტგარტი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. ლიგის თასისთვის ბრძოლაში ბუნდესლიგის ბოლო გათამაშების ექვსი საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. ფინალის წინა შეხვედრებში „შტუტგარტმა“ ქვეყნის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნს“ სძლია 3-2 (გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბალაკოვმა, პოშნერმა და ბობიჩმა, „კაიზერიდან“ ორივე მარშალმა), ხოლო „ბაიერნმა“ ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ლევერკუზენს“ – 1-0. ეს ერთადერთი გოლი ბავარიელთაგან ბოლო დროს ეროვნული გუნდის მწვრთნელ ბერტი ფოგტსისაგან შერისხულმა მარიო ბასლერმა გაიტანა. „სუპერმარიო“ ამ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ლევერკუზენელთა კარის აღება კი თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმით შეძლო დაახლოებით 25 მეტრიდან... მოკლედ, ვისაც აიეტი, სატელიტური ანტენა თუ სხვა რაიმე სათანადო „აღჭურვილობა“ გაქვთ, ხვალ მეტად საინტერესო სანახაობის მოწმენი იქნებით.



## კაპიტანმა სამშობლოს მიაშურა

შოტლანდიელმა კოლინ ჰენდრიმ ინგლისის „ბლექბერნ როვერსში“ 9 სეზონი ითამაშა, პრემიერლიგის ჩემპიონობაც მოიპოვა (1994-95 წლების სეზონში) და მეტად საიმედო მაღალი კლასის მცველის რეპუტაციაც. საფრანგეთი – 98-ზეც ჰენდრის თამაშმა კარგი შეფასება დაიმსახურა – ის ხომ ეროვნული გუნდის ნამდვილი კაპიტანი გახლდათ და დაცვის ხაზის აშკარა ლიდერი, რის გამოც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ 32 წლის მცველში „გლაზგო რეინჯერსმა“ 6,6 მილიონი დოლარი ჩაუთვალა ბლექბერნელებს და ჰენდრიც ალბათ კარიერის ბოლო წლებს ამ კლუბში გაატარებს. შეგახსენებთ, რომ გლაზგოელ ჩაფრებს (რეინჯერი ცხენზე ამხედრებულ პოლიციელს ანუ ჩაფარს ნიშნავს) ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი დიკ ადვოკაატი წვრთნის.

## ინფორმაცია

შვეიცარიის ქალაქ სიონს 2006 წელს ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების პრეტენზია აქვს. საამისოდ შედგენილიც არის სპეციალური მოსამზადებელი კომიტეტი, რომელსაც ბოლო მომენტამდე იოზეფ ბლატერი ხელმძღვანელობდა.

ახლა ბლატერმა, რომელიც ფიფას პრეზიდენტია, განაცხადა, რომ საქმეებით გადატვირთვის გამო ველარ შეძლებს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას. თუმცა ჟურნალისტებს მან უთხრა, რომ ხელს შეუწყობს ქალაქ სიონის სწრაფვას მიიღოს ოლიმპიადის ჩატარების უფლება.

თვით ბლატერი წარმოშობით შვეიცარიის კანტონ ვალედანაა, რომლის მთავარი ქალაქი სიონია.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები — ჩვენი მეტოქეები

CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

# ბილბაოს სახელგანთქმული „ატლეტიკი"

ბილბაოს „ატლეტიკი" დაარსდა 1898 წელს ბისკაის პროვინციაში „ატლეტიკ კლუბ დე ბილბაოს" სახელწოდებით (საინტერესოა, რომ მადრიდის განთქმული კლუბი „ატლეტიკო" დაფუძნდა ოდნავ მოგვიანებით, 1903 წელს, როგორც ბილბაოს „ატლეტიკის" ფილიალი და მხოლოდ შემდეგ იქცა დამოუკიდებლად). 1902 წელს „ბისკაიას" სახელწოდებით, მეორე ბასკურ კლუბ „ფკ ბილბაოსთან" ერთად მონაწილეობდა მადრიდში გამართულ ტურნირში, შემდეგ კი მოხდა მათი გაერთიანება. ესპანეთის ჩემპიონატი 1902 წლიდან ტარდება და პირველ სამში (1902, 1903, 1904) სწორედ ბასკურმა კლუბმა გაიმარჯვა, შემდეგში კი ეს წარმატება მრავალგზის გაიმეორა, ბევრჯერ მოიგო ესპანეთის თასიც. ამასთან, „ატლეტიკმა" არაერთგზის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც (1930, 1931, 1943 წლებში).

წლების განმავლობაში „ატლეტიკის" შემადგენლობაში თამაშობდნენ ისეთი სახელგანთქმული ფეხბურთელები, როგორნიც იყვნენ „ღვთაებრივი" რიკარდო ზამორა, ირიბარი, ბლასკო, სედრუნი, სუბისარეტა, სილაურენი, გოროსტიცა, ურიარტე, არიეტა, გარაი, გოიკოეჩეა და მრავალი სხვა.

კლუბი თამაშობს „სან მამესის" (47392 ადგილი) სტადიონზე. მწვრთნელებად ზოგჯერ უცხოელებსაც იწვევდნენ. მაგალითად, ადრე კლუბს წვრთნიდა ინგლისელი რიჩარდ ალენი, ახლა კი ბასკური (გასკონიური) წარმოშობის ფრანგი ლუის ფერნანდესი. სხვადასხვა დროს გუნდის სათავეში იდგნენ განთქმული მეკარე ირიბარი და ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი კლემენტე.


ალკორტა

„ატლეტიკი" მრავალჯერ მონაწილეობდა ევროპულ ტურნირებში, სადაც მის მაქსიმალურ მიღწევად ითვლება 1977 წელს ჩემპიონთა თასზე მეოთხედფინალამდე მისვლა. „ბაზრობათა თასის" 1964 და 1968 წლების გათამაშებაში იგი ასევე მეოთხედფინალში გავიდა. გუნდი ყოველთვის ძირითადად ბასკებისაგან შედგებოდა, ამიტომ მისი თამაში ჰგავს სამხრეთფრანგულ სტილს, სადაც იგივე ბასკები, ანუ გასკონიელები ცხოვრობენ. იგი ხასიათდება მაღალი ტექნიკისა და ათლეტიზმის თავისებური შერწყმით.

როგორი შედეგები აქვს ბილბაოს „ატლეტიკს" უკანასკნელ წლებში? მას აშკარად არ გამოუვიდა თამაში 1995-96 წლების ჩემპიონატში და 22 გუნდს შორის მხოლოდ მე-14 ადგილი დაიკავა (11 მოგება, 15 ფრე, 16 წაგება, ბურთები 44-55, 48 ქულა). ეს ბასკებისათვის ნამდვილი ჩავარდნა იყო, ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობა მთლიანად გადახალისდა, მოიწვიეს ახალი მოთამაშეებიც. 1996-97 წლების ჩემპიონატში „ატლეტიკმა", რომელსაც „პარი სენ-ჟერმენიდან" მიწვეული, წარსულში მიშელ პლატინის ღირსეული პარტნიორი და 80-იანი წლების ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთი კორიფე ლუის ფერნანდესი წვრთნიდა, უკვე გაცილებით უკეთ ითამაშა. იგი 64 ქულით 22 მონაწილეს შორის მე-6 ადგილზე გავიდა (16 მოგება, 16 ფრე და 10 წაგება, ბურთები 72-57). თავი გამოიჩინეს თავდამსხმელმა სიგანდამ – 17 გოლი და ნახევარმცველმა გერერომ – 15 გოლი.


გოიკოეჩეა


გერერო

თავისი შესაძლებლობა, როგორც საუკეთესო მწვრთნელმა, ლუის ფერნანდესმა მშვენივრად გამოამჟღავნა 1997-98 წლების სეზონში. გამოცხადდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთიდან ორი კლუბი ითამაშებდა, რაზეც თავდაპირველად 20 მონაწილიდან თითქმის ნახევარი პრეტენზიას აცხადებდა, მათ შორის ორი ბასკური კლუბი „ატლეტიკი" და სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი". როცა შუა ტურნირში სიტუაცია უფრო ნათელი გახდა, სწორედ ბასკები იბრძოდნენ რეალურად საპრიზო ადგილისათვის მადრიდის „რეალსა" და „ბარსელონასთან" ერთად. როგორც მიმომხილველები ფიქრობდნენ, შემადგენლობის თვალსაზრისით „ატლეტიკი" ჩამოუვარდებოდა „რეალსა" და „ბარსელონას", რომლებიც თითქმის მთლიანად ვარსკვლავებისაგან შედგება, თუმცა მასაც ჰყავს შესანიშნავი ოსტატები ალკორტა, გერერო, გოიკოეჩეა, ეჩებერია, ლარანსაბალი.

საბოლოოდ, „ატლეტიკმა" ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია, მეორე ადგილზე გავიდა „ბარსელონას" შემდეგ, მესამე იყო „რეალ-სოსიედადი", მადრიდის „რეალი" კი მეოთხე. „ატლეტიკომ" 65 ქულა მოაგროვა, 17 მოგება, 14 ფრე, 7 წაგება (შედარებისათვის, „ბარსელონამ" წააგო 10). გაიტანა 52 ბურთი, მიიღო 42. აღინიშნა ლუის ფერნანდესის შესანიშნავი მუშაობა, რომელსაც ადრეც ჰქონდა წარმატებები „კანში" (გაიყვანა უეფას თასზე) და განსაკუთრებით „პარი სენ-ჟერმენში", რომელიც მისი ხელმძღვანელობით საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

„ატლეტიკში" ყველაზე შედეგიანი იყო ეჩებერია (11 გოლი). გოლები ხშირად გაჰქონდათ აგრეთვე გერეროსა და ლარანსაბალს.

მსოფლიო ჩემპიონატში „ატლეტიკის" მოთამაშეებიდან მონაწილეობდნენ მცველი რაფაელ ალკორტა (1968), რომელიც ადრე მადრიდის „რეალში" გამოდიოდა, ნახევარმცველი ხულიენ გერერო (1974) და თავდამსხმელი ხოსება ეჩებერია (1977).

ბივი თორელი

UEFA Cup Winners' Cup — თასების თასი

# სახელოვანი მეტოქე – „პარტიზანი"

13 აგვისტოს ბათუმის „დინამო" თასების მფლობელთა თასის წინასწარ მატჩში შეხვდება ბელგრადის „პარტიზანს". ფოთის „კოლხეთისა" არ იყოს, ძნელია პირველსავე შეხვედრაში ესოდენ განთქმული მეტოქის „მიგნება".

ბელგრადის „პარტიზანი" („იუგოსლავენსკო სპორტსკო დრუჟესტვო პარტიზან") დაარსდა 1945 წლის 4 ოქტომბერს, როგორც იუგოსლავიის სახალხო არმიის გუნდი, მაგრამ სულ მალე უწყებრივი აღარ იყო. ძველ ქართველ გულშემატკივრებს ახსოვთ მისი ბრწყინვალე თამაში თბილისში 1946 წელს „დინამოს" წინააღმდეგ. წლების განმავლობაში კლუბში ბრწყინავდნენ რადომირ ანტიჩი (დღევანდელი შესანიშნავი მწვრთნელი), სტეფან ბობეკი, მილუტინ შოშკიჩი, მილან გალიჩი, ფარსუდინ იუსუფი, მილოშ რადაკოვიჩი (გუნდის ახლადნელი მწვრთნელი), რაიკო მიტიჩი, მილოშ მილუტინოვიჩი, მისი უმცროსი ძმა, ახლანდელი გამოჩენილი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი, ბრანკო ზებეცი, ზლატკო ჩაიკოვსკი და ევროპული და მსოფლიო კლასის სხვა ვარსკვლავები.

იგი იუგოსლავიის ჩემპიონი პირველად გახდა 1947 წელს და შემდეგ ეს წოდება კიდევ 14-ჯერ მოიპოვა. 8-ჯერ იუგოსლავიის თასს დაეუფლა. წლების მანძილზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" და ზაგრების „დინამოსთან" ერთად შედიოდა იუგოსლავიის უძლიერესი კლუბების „დიდ სამეულში"; თითქმის უცვლელად მონაწილეობდა ევროპული თასების გათამაშებაში. რაც შეეხება მათ შორის ყველაზე პრესტიჟულ ჩემპიონთა თასზე გამოსვლას, აქ ბელგრადელებს ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდათ 1965-66 წლებში, როდესაც ზედიზედ სძლიეს „ნანტს", ბრემენის „ვერდერს", პრაღის „სპარტას", „მანჩესტერ იუნაიტედს", გავიდნენ ფინალში, სადაც მადრიდის „რეალთან" წააგეს – 1-2. უეფასა და თასების მფლობელთა თასებზე „პარტიზანი" ცალკეულ შეხვედრებში მეტად ცნობილ კლუბებს ამარცხებდა, მაგრამ რაიმე დიდი საერთო წარმატება უკვე აღარ ჰქონია.

4 წლის მანძილზე „პარტიზანი" ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო ევროპულ ასპარეზს ჩამოაცილეს. რეაბილიტაციის შემდეგ მან პირველად ითამაშა ჩემპიონთა თასის 1997-98 წლების გათამაშებაში, მაგრამ პირველივე წრეში მარცხი განიცადა ზაგრების „კროაციასთან" (ყოფილ „დინამოსთან") – 1-0, 0-5. წლების განმავლობაში კლუბი თამაშობდა ინა-ს სტადიონზე (54 ათასი ადგილი), რომელიც „პარტიზანის" სტადიონად გადაკეთდა (51 ათასი ადგილი).

როგორც ცნობილია, მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა თითქმის მთლიანად ლეგიონერებისაგან დააკომპლექტა იუგოსლავიის ნაკრები – 22 მოთამაშიდან 19! ორი ადგილი დაეთმო „ცრვენა ზვეზდას", ერთი კი „პარტიზანს". აი ის ერთი კი, სწორედ ნაკრების ძირითადი მეკარე ივიცა კრალი იყო.

# დიდი სახელი არა აქვს, მაგრამ...

*ფრანგი სპორტული კომენტატორები ფიქრობდნენ, რომ უპრიანი იქნებოდა თადარიგში გასული ემე ჟაკე შეეცვალა ან „მონაკოს" ახლანდელ მწვრთნელ ჟან ტიგანას, რომელსაც ფეხბურთის სამყაროში დიდი ავტორიტეტი აქვს, ან გი რუს, რომელიც მრავალი წელია, წარმატებით მუშაობს „ოსერში", ზრდის ჩინებულ ოსტატებს...*

***ჩვენმა მკვითხველებმა იციან, რომ არც პირველი აზრი გამართლდა და არც მეორე. ორივე სპეციალისტმა უკან წაიღო თავისი განცხადება, ნაკრების მთავარ მწვრთნელად კი დაინიშნა ემე ჟაკეს ყოფილი ასისტენტი, 57 წლის როჟე ლემერი.***

როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ჟაკე ნაკრების სათავეში მივიდა, მას უკვე „ბორდოში" მოპოვებული წარმატებების შემდეგ მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. ლემერი ჯერჯერობით ამას ვერ დაიკვეხნის.

გავეცნოთ მის ძირითად სპორტულ წარმატებებს. იგი წლების განამავლობაში „სედანში", „ნანტში", „ნანსსა" და „ლანსში" თამაშობდა მცველად. უმაღლეს დივიზიონში ჩაატარა 441 მატჩი. ორი მატჩი აქვს ნათამაშევი საფრანგეთის თასის ფინალში, ერთხელ „სედანის" შემადგენლობაში, მეორედ – „ნანტში". 6 მატჩი ჩაატარა საფრანგეთის ნაკრებში, რაც ლემერის კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

1975 წლიდან ლემერი პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. წვრთნიდა პარიზის „რედ სტარს", „ლანსს", „პარი ფ.კ"-ს, „სტრასბურს", ტუნისში სათავეში ედგა ჯერ საკლუბო გუნდ „ესპერანსს", შემდეგ კი ტუნისის ახალგაზრდულ ნაკრებს. რაიმე საყურადღებო წარმატება ლემერს ამ გუნდებში არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ლანსის" (ახლანდელი ჩემპიონის) უმაღლეს დივიზიონში გაყვანას.

1987 წლიდან მოყოლებული ლემერი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შტატშია, ასრულებს სულ სხვადასხვაგვარ სამუშაოს. კარგახანს ხელმძღვანელობდა საფრანგეთის არმიის ფეხბურთელთა ნაკრებს. როცა, 1995 წელს ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი სამხედროთა შორის, ფრანგებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ეს უკვე ლემერის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი იყო. შემდეგ იგი გახდა ემე ჟაკეს თანაშემწე საფრანგეთის ნაკრების ფიზიკურ მომზადებაში.

ფიქრობენ, რომ როჟე ლემერის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნას სწორედ ემე ჟაკემ შეუწყო ხელი. ვნახოთ, როგორ ატარებს იგი ესოდენ მძიმე ტვირთს. მიაჩნიათ, ახალი ხელმძღვანელი, რომელმაც ჩინებული მემკვიდრეობა მიიღო, ნაკრებში არაფერს შეცვლის. უკვე 19 აგვისტოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის რანგში პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს – ვენაში ავსტრიელებთან. 5 სექტემბრიდან ფრანგები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩაებმებიან, რეიკიავიკში ისლანდიელებს შეხვდებიან. უფრო საინტერესო უნდა იყოს ამ შესარჩევი ჯგუფის მეორე შეხვედრა, ფრანგები 10 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ.

# ლობანოვსკი: უმოტივაციოდ ფეხბურთი არ არსებობს

10 წლის წინათ კიევის „დინამო" ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად ითვლებოდა. მას შემდეგ, რაც ეს მრავალნაცადი მწვრთნელი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, გუნდს დაკარგული პოზიცია დაუბრუნა. მართალია, თვით ლობანოვსკი თვლის, რომ „ცარიელ ადგილზე" არ მოსულა: სანამ იგი არაბულ სამყაროში მოღვაწეობდა, გუნდში შინაარსიანი მუშაობა იყო. ახლა ბევრი მიმომხილველი ფიქრობს, რომ ეს ლობანოვსკიმ თავაზიანობის გამო თქვა. მას ხომ არ შეუცვლია „დინამოს" შემადგენლობა, აი თამაშის შინაარსი კი კარდინალურად შეიცვალა. მაშ რატომაა ახალი წარმატებები? აქ გადამწყვეტ სიტყვად ლობანოვსკი „მოტივაციას" თვლის. მოტივაციად იგულისხმება მიზნის დასახვის უნარი, ამოცანა და მისი განხორციელების გზების მონახვა.

ვალერი ლობანოვსკი: უმოტივაციოდ ძალიან ძნელია თამაშის დონის მკვეთრი ამაღლება. შედეგს არ ვგულისხმობ, არამედ თამაშის დონეს. ფეხბურთელები ძალზე მონდომებულნი უნდა იყვნენ დღეს, თუნდაც ცოტათი უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე გუშინ, აუცილებლად აქეთკენ უნდა მიისწრაფოდნენ. აუცილებელია დიდი მიზნების დასახვა. მივაღწევთ ამას თუ არა, ეს უკვე სხვა საკითხია.

ასეთ მიზნად ლობანოვსკი თვლის ჩემპიონთა ლიგის მოგებას. მას აბსურდულად მიაჩნია, ვთქვათ, ამ შეჯიბრებაში ნახევარფინალში ან ფინალში გასვლის „დასახვა". მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ თასის დაუფლება.

საინტერესოა, რომ ასევე ფიქრობენ კიევის „დინამოს" ახლანდელი ლიდერები ანდრეი შევჩენკო, ალექსანდრ შოვკოვსკი, სერგეი რებროვი. აი, რა განაცხადა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკიმ:

— ლობანოვსკიმ ჩვენ დაგვარწმუნა საკუთარ ძალებში. გვიჩვენა, რომ არა ვართ იმ პროფესიონალ მოთამაშეებზე უარესი, რომლებიც დასავლეთის კლუბებში გამოდიან და დიდ გასამრჯელოსაც იღებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მაღალი ევროპული დონის კლუბებთან თანაბრად თამაში. მისი მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი ასეთია: ვინმე რომ დაამარცხო, ჯერ საკუთარ თავს უნდა სძლიო. ეს უბრალოდ და გენიალურად არის ნათქვამი. ამ თეზისმა მნიშვნელოვანწილად იმოქმედა მოთამაშეების შეგნებაზე.

ისე კი, რომ ვთქვათ, დღევანდელ კიევის „დინამოში" არ არიან „სუპერვარსკვლავები" ამ სიტყვის ჩვეული გაგებით. უფრო სწორად, ასეთები არ იყო, ახლა კი ანდრეი შევჩენკოა. რომელშიც უცხოეთის კლუბები მრავალ მილიონ დოლარს იძლევიან. შევჩენკო შინ გაზრდილი ვარსკვლავია, რაც შეეხება მოწვეულებს, ამ საკითხში ლობანოვსკი ძალიან თავშეკავებულია, ნეგატიურადაც კი არის განწყობილი. მწვრთნელის აზრით, ისინი ძალიან ჭირვეულები არიან, გუნდის თამაში მათ უნდა შეეგუოს, სტილი უნდა გამოიცვალოს. ლობანოვსკისთვის კი უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვით მოთამაშე „ჩაეწეროს" გუნდის მოდელში და არა პირიქით, მაშინაც კი თუ ეს ფეხბურთელი მეტისმეტად ნიჭიერია.

ევროპელ მეცენატებს თავიანთი კლუბებისათვის დღეისათვის მხოლოდ შევჩენკოს გადაბირება კი არა სურთ. მათ „კლუბ-სენსაციის" (ასე უწოდებენ კიევის „დინამოს") სხვა მოთამაშეების ყიდვაც უნდათ. კიეველთა ხელმძღვანელობა კი ასე იქცევა: იგი უცხოეთში იმ მოთამაშეებს გაუშვებს, ვინც უკვე მოუტანა გუნდს სარგებლობა, სერიოზულ საფეხბურთო ასაკს მიაღწია, ახლა კი უნდა საზღვარგარეთ ცოტა მატერიალური მდგომარეობა გაიმაგროს. მაგრამ, როცა „დინამო" უარს ამბობს შევჩენკოში, ვთქვათ, 20 მილიონი დოლარი მიიღოს, მას სერიოზული ფინანსური სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ასეთი საყრდენი „დინამოს" აქვს კიდეც. მისი დამფუძნებლები სერიოზული ორგანიზაციებია, რომლებიც მზად არიან დღევანდელ მოგებას არ გამოეკიდონ და გუნდის საქმეებს დიდი თანხები მოახმარონ. კლუბის ახალი ბაზა ათეულობით მილიონი დოლარი ღირს. მისი მშენებლობა პრაქტიკულად დამთავრებულია, ასეთი ბაზა კი ცოტას თუ აქვს, თვით ფეხბურთის გრანდებსაც კი. თვით მოთამაშეებმა, რომლებსაც დასავლეთის კლუბები „აციდებიან", ძალიან კარგად იციან, რომ თუკი „დინამოში" წარმატებით ითამაშებენ, სერიოზული საერთაშორისო მიღწევები ექნებათ, მაშინ მათდამი ინტერესი გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. ამიტომ ისინი კიევის დატოვებას არ ჩქარობენ, მით უმეტეს, რომ აქ კარგი ხელფასიც აქვთ და პრემიებიც.

ერთი სიტყვით, მიმომხილველები ფიქრობენ, რომ უწინდელი კიევის „დინამო" აღსდგა. ეს არის იგივე ათლეტური ფეხბურთი, ისეთივე დიდი სისწრაფე, ისეთივე ავტომატიზმამდე მიყვანილი კოლექტიური თამაში. რაც შეეხება წარმატებებს, იგი კლუბის მესვეურების აზრით 1998-99 წლების სეზონში ადრინდელზე მაღალი უნდა იყოს.

ბივი თორელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საზოგადოებრიობას!

ძვირფასო თანამემამულენო! 1998 წლის 25 აგვისტო ქართველი ხალხისა და მისი სპორტული მოძრაობის ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღია — 80 წლის წინათ შეიქმნა ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უნიკალური სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე შეძლო მოსახლეობის, მისი ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის არსებითად გარდაქმნა.

შემოქმედებითად განავითარა რა მსოფლიოს „სოკოლური" მოძრაობისა და ქართული სპორტის მდიდარი ისტორიული გამოცდილება, მან შეძლო ტანვარჯიშზე დაყრდნობით ქართული სპორტული მოძრაობა მთელი ქართველი ახალგაზრდობის მასობრივი ფიზიკური აღზრდის მძლავრ საშუალებად ექცია.

ამ საშვილიშვილო საქმეს, როგორც ცნობილია, სათავეში ჩაუდგნენ ქართული სპორტის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ გიორგი ნიკოლაძე და გიორგი ეგნატაშვილი, მათ გვერდში ედგნენ გიორგი მერკვილაძე, კოტე ჯავრიშვილი, ივანე ბერიძე, ირაკლი ლორთქიფანიძე, არჩილ ბაქრაძე, ვლადიმერ პროკოფაშვილი, გაიოზ ბარელაშვილი და სხვები.

უაღრესად პროგრესული იყო „შევარდენის" მიზანი — სპორტის მასობრიობისა და მოვარჯიშეთა წრთობის გზით ხელი შეეწყო ქვეყნის ძლიერებისა და საერთო პროგრესისათვის.

პირველი ოფიციალური ქართული სპორტული საზოგადოების — „შევარდენის" საქმიანობა სპორტის ისტორიაში დარჩა იმის ნათელ მაგალითად, თუ სპორტული მოძრაობა როგორ და რა მიზნით უნდა ჩააყენო მოზარდი თაობის სწორი აღზრდის, ქვეყნის წინსვლის სამსახურში. „შევარდენის" მემკვიდრეობის ტრადიციებზე აღზრდილებია ციმაკურიძე, რურუა, თედიაშვილი, გაფრინდაშვილი, კარტოზია, შანიძე, ლოსაბერიძე და სხვები.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ჩატარდება სპორტული და სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნად სპორტული ცხოვრების შემდგომ გამოცოცხლებასა და განვითარებას.

გახდით ამ სრულიადქართული სპორტული ზეიმის აქტიური მონაწილე, თანამდგომი და მაყურებელი. და როგორც ჟურნალი „შევარდენი" ამ 80 წლის წინ მოგვიწოდებდა, „მივცეთ ფართო გზა შევარდენს, რათა მან მედგრად გაშალოს ფრთები ჩვენი დამოუკიდებელი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ".

კ. ასათიანი, ჯ. ბაგრატიონი, ვ. ბალავაძე, ი. ბეჟაშვილი, ა. ბოროხოვიჩი, ი. ბოჭორიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ო. გოგიაშვილი, ბ. გუგავა, ო. დიდებულიძე, ზ. დიდიშვილი, ა. დოკვაძე, გ. ვაზაგაშვილი, ე. ზენაიშვილი, ა. ზუხბაია, ვ. კანკავა, ი. ლიპარტელიანი, მ. მნათობიშვილი, დ. კოლოსიანი, რ. რურუა, ი. ტუღუში, ვ. შუბლაძე, შ. ქველიაშვილი, ა. ციბაძე, დ. ციმაკურიძე, ნ. ხერგიანი.

## შიბაქეთ მუხურელებს

ტყიბულის ზონის სოფ. მუხურაში, ბოლო წლებში, ზედიზედ სამჯერ ჩატარდა სახალხო ზეიმი „მუხურობა", სადაც წარმოდგენილი იყო ხალხური შემოქმედება, ამ კუთხის სოფლებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფია და ფოლკლორი, განსაკუთრებით ის ნიმუშები, რომლებიც ტრადიციული იყო, შემდეგ ან დავიწყებას მიეცა ან დავიწყების საშიშროება ემუქრება. პროგრამაში, ცხადია, ფართოდაა წარმოდგენილი ხალხური თამაშობები, რაც ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს წარმოაჩენს.

წლეულს სექტემბერში „მუხურობა" მეოთხედ ჩატარდება.



სურათზე: შარშანდელ დღესასწაულზე თბილისელ 63 წლის ანზორ ფირიაშვილს ჯერ „საჭილდაო ქვის" აწევაში არ ჰყავდა ბადალი, შემდეგ კი სატვირთო ავტომობილს ჩაეჭიდა და მძღოლს ადგილიდან მისი დაძვრის საშუალება არ მისცა.

*ამ ცოტა ხნის წინათ რედაქციაში ლათინოამერიკული ფეხბურთის ერთმა თავგადაკლულმა გულშემატკივარმა დაგვირეკა და გვთხოვა, იქნებ როგორც ყველაზე ძირძველმა სპორტულმა გაზეთმა მაინც, ვრცლად მაცნოთ ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის ფრანსისკო ვარელოს შესახებო. ყველაზე უფრო კი ჩვენს პატივცემულ მკითხველს ვარელოს ასაკი აინტერესებდა და საერთოდ, ცოცხალი არის თუ არა 30-იანი წლების არგენტინელთა კერპი...*

*მართალია, რაიმე მასალის მოკვლევა ვარელოზე გაგვიჭირდა, მაგრამ „მხსნელად" „FIFA MAGAZINE"-ის ერთ-ერთი ბოლო ნომერი მოგვევლინა და სამხრეთამერიკული ფეხბურთის გურმანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ალბათ ნაწილობრივ მაინც შევძლებთ...*

# ლეგენდა ცოცხალია და ბურთაობის ჯანზეც გახლავთ

ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა საფეხბურთო ვარსკლავები მყისიერად აენთებიან, კარგა ლამაზადაც გაიბრწყინებენ, მაგრამ სულ მოკლე ხანში ჩაქრებიან, დავიწყებას მიეცემიან. ფრანსისკო „პაკო" ვარელო კი ისეთი გორის ვარსკვლავი იყო, რომელსაც ჩაქრობა არ ეწერა და დღესაც, ეს 88 წლის ჭარმაგი კაცი ფეხბურთის იმ პერიოდის სიმბოლოა, რომელიც ახლა ცოტას თუ ახსოვს — ის იყო ერა, როცა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი პირველად ევლინებოდა სამყაროს.

1930 წლის მსოფლიო თასის ფინალური მატჩის მონაწილეთაგან ერთადერთი, სააქაოს მყოფი ფეხბურთელი სტაჟიან და მხიარულ არგენტინელ გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ, პატივს სცემენ და კვლავინდებურად ძალიან უყვართ... ახლაც თვალწინ აქვთ ურუგვაი — არგენტინის პაექრობა და ვნებების მეტად ექსპანსიური შემოტევა მონტევიდეოს EStadio Centenario-ს სტადიონზე, რომელიც საგანგებოდ აშენდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატისათვის. განსაკუთრებით კი იმ მატჩის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, 20 წლის პაკო ვარელო ულრღნის დღესაც გულს სტაჟიან არგენტინელ ფანებს...

ისტორიულად ერთიმეორის მოსისხლე მეტოქეები, ურუგვაელები და არგენტინელები იმ დროისათვის ფეხბურთის სათამაშო სტილით, განვითარებითა და ნიჭითაც აშკარად უსწრებდნენ იმათ, ვინც მათზე ადრე ეზიარა ბრიტანელების მიერ შემოღებულ ბურთაობას და მსოფლიოში საუკეთესო გუნდებად ითვლებოდნენ. თუმცა ფორტუნა უფრო ურუგვაელებს სწყალობდა და მათ ხოსე ნასაზას კაპიტნობით ორჯერ მოიპოვეს ოლიმპიური „ოქროები" (1924, 1928 წ.წ.) მერე კი, მსოფლიო ჩემპიონობაც (1930), რომლის ფინალურ მატჩში ვარელოს თამაში სათუო იყო, რადგან მას მუხლის ტრავმა აწუხებდა. „მართლა არ უნდა მეთამაშა, მაგრამ არ შემეძლო არგენტინელი ხალხისა და ჩემი ოჯახის გაწბილება. მუხლის ტკივილი კი უიმედოდ მტოვებდა, თუმცა ძალიან მინდოდა ჩემი ქვეყნის გამარჯვების ერთ-ერთი მონაწილე ვყოფილიყავი" — იხსენებს „პაკო" ვარელო. არგენტინელები პირველ ტაიმში იგებდნენ კიდეც მატჩს (2-1) და ვარელოც საკმაოდ კარგად ირჯებოდა, მაგრამ საბოლოოდ ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა თავისი გაიტანეს და გაიმარჯვეს (4-2). „ალბათ არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რარიგ უნდოდა ჩვენს გუნდს გამარჯვება ფინალში, ხოლო მე — გოლის გატანა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელი ერთობ დააშინა მონტევიდეოს სტადიონზე შეკრებილმა ხალხის აბობოქრებულმა მასამ. რა თქმა უნდა, ურუგვაელები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ მათ „საკუთარი კედლების" ისეთი მხარდაჭერა ჰქონდათ, რომ თითქოს 12 ფეხბურთელისგან შემდგარ გუნდს ვხვდებოდით" — იხსენებს 88 წლის ვარელო.



1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფრანსისკო „პაკო" ვარელო სამხრეთ ამერიკის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ნაღდად ითვლებოდა. მაშინ არგენტინის უძველეს კლუბ "Gimnasia"-ში გამოდიოდა, ხოლო მონდიალის დამთავრებისთანავე „ველეჟ სარსფილდმა" მიიწვია — ეს არგენტინული კლუბი ევროპაში სამთვიან ტურნეზე მიდიოდა და გაძლიერება ერთობ სჭირდებოდა. ევროპაში ვარელომ ბრწყინვალედ ითამაშა და ორი იტალიური კლუბიც „ნაპოლი" და „ჯენია" ეპატიჟებოდნენ, ნებისმიერ არგენტინულ კლუბზე გაცილებით მეტ გასამრჯელოს სთავაზობდნენ, მაგრამ ვარელომ იუარა იტალიელთა მაცდუნებელი წინადადებები, რადგან სამშობლოსა და ოჯახის მიტოვება ერთობ უძნელდებოდა... ერთგულება ვარელოს ცხოვრების კრედო იყო. ერთგულება ოჯახისა, ქვეყნისა და საყვარელი კლუბისა. „პაკო" ბუენოს-აირესის გარეუბან მარ დე ლა პლატაში იზრდებოდა და ბავშვობიდანვე მისი ოცნების გუნდს „ბოკა ხუნიორსი" წარმოადგენდა. ის იქ 1931 წელს გადავიდა "Gimnasia"-დან და მთელი თავისი კარიერის ბოლომდე არ უღალატნია მისთვის. კარიერა კი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა — ვარელომ 1939 წელს დაანება თამაშს თავი, რისი მიზეზიც 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული მუხლის მძიმე ტრავმა გამოდგა, რომელიც წამდაუწუმ უმიზეზდებოდა. ვარელომ კარიერის შეწყვეტამდე მთელი ერთი სეზონიც გამოტოვა მუხლის ტრავმის გამო, მაგრამ ამანაც ვერ შეუშალა ხელი რეკორდის დამყარებაში — „ბოკა ხუნიორსში" ჩატარებულ შვიდ სეზონში „პაკომ" 131 გოლის გატანა მოახერხა და დღესაც „ბოკა ხუნიორსის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება. ამან 30-იან წლებში ვარელო ნამდვილ სუპერვარსკვლავად აქცია და გულშემატკივრების თანამედროვე თაობასაც ძალიან უყვარს „პაკო". ვარელო „ბოკა ხუნიორსისათვის" ძალიან დიდი ფენომენია, ვარელოს ერთგულებას ამ კლუბისადმი არავინ ივიწყებს, მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ ეს ფეხბურთელი მთელ არგენტინაში წმინდა წყლის ეროვნულ ფენომენად ითვლება. ვარელო სამშობლოში ისეთი პოპულარული არ ყოფილა, როგორც მარადონა, კემპესი თუ ბერტონი, მაგრამ ეროვნული ასპექტების მხრივ მისი დიდება არავისას არ ჩამოუვარდება. როცა ვარელო ფეხბურთელი იყო, ის ძალიან ახლოს მეგობრობდა არგენტინული ტანგოს ნათლიმამასთან კარლოს ჟარდელთან. რივერ პლეიტის ეროვნული ჰანგები კიდევ უფრო მეტად აღაფრთოვანებდა ვარელოს, რათა საფეხბურთო მინდორზე თავისებურად გაჯიბრებოდა კარლოს ჟარდელს ტანგოს ცეკვაში — სამხრეთ ამერიკაში, მართლაც, შეიძლება ფეხბურთი ცეკვას რომ შეედაროს. „ვნება და სამუდამო მოვალეობის გრძნობა, რაც „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელსა და ფანს აერთიანებს, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი კლუბის ფეხბურთელსა თუ ფანზე უფრო ძლიერია" — დასძენს ვარელო და კვლავინდებურად ამაყობს იმით, რომ არც „ბოკას" ლურჯ-ყვითელი ფერებისთვის და არც არგენტინის ეროვნული გუნდის ლურჯ-თეთრი ფერებისთვის არ უღალატნია, ყოველთვის თავდადებით და უანგაროდ ემსახურებოდა მათ...

ფრანსისკო „პაკო" ვარელო ფიფამ 1994 წლის კონგრესზე ჩიკაგოში ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

„FIFA MAGAZINE"-დან თარგმნა
დათო თავართქილაძემ

## ხსოვნა

# მისი ოცნება იყო ლისის ტბაზე გაეშენებინა საფეხბურთო ცენტრი, მაგრამ დაწყებული საქმე შურმა და მტრობამ დაასამარა



**პროფესიით ინჟინერს, ფეხბურთის თავდავიწყებულ ქომაგად და ტრფიალად იცნობდა ყველა. სიყრმის ამ გატაცებას ბოლომდე უერთგულა. ხშირად უთქვამს, უფეხბუროთოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო, მის სამსახურში იდგა სიცოცხლის ბოლომდე.**

პაპუნა პაიჭაძემ სამაგალითოდ იცხოვრა ამ ქვეყანაზე როგორც შესანიშნავმა პიროვნებამ და ქველმოქმედმა. მის პიროვნულ ღირსებებს ბუნებრივად ერწყმოდა გამჭრიახი გონება და ფანტაზიის უნარი. მოწოდებული იყო დიდი საქმეების საკეთებლად.

ერთი ამ საქმეთაგანი თბილისის „დინამოს" სასწავლო-საწვრთნელი ბაზის მშენებლობა იყო ლისის ტბაზე. უნდა გენახათ რა ენთუზიაზმით წამოიწყო ეს საქმე, როგორ უხაროდა.

ერთხელ ჩამისვა მანქანაში და იმ ადგილის სანახავად წამიყვანა. თვალს არ ვუჯერებდი, ისეთი მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობდა. დღესაც მახსოვს მისი სიტყვები: დემიკო, აქ თანამედროვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაშენდება დასასვენებელი კოტეჯებით. მაგრამ მთავარი მაინც ის იქნება, რომ ჩამოყალიბდება ბავშვთა ფეხბურთის სექცია, რომელიც მომავალში შეიძლება სკოლად გადაკეთდეს. უკვე გამოჩნდნენ ფეხბურთის სპეციალისტი ენთუზიასტები, ისინი მოუთმენლად ელიან მშენებლობის დამთავრებას...

**მიხეილ მესხი (უმცროსი):** „მთელი ჩემი სპორტული ცხოვრება პაპუნასთან იყო დაკავშირებული. 1982 წლის საფეხბურთო სეზონის დამთავრებისას, უცნაური ავადმყოფობა შემეყარა. თბილისში სიმსივნეზე ეჭვობდნენ. ბევრმა მეგობარმა მიმატოვა, ჩამოწერილად ჩამთვალეს. ერთადერთი, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩემი მძიმე მდგომარეობა, პაპუნა იყო. მთელ ოჯახს მოგვკიდა ხელი და მოსკოვში წაგვიყვანა. ისეთ საავადმყოფოში მომათავსა, სადაც ხალხი 6-7 თვე უცდიდა რიგს. მან კი საათნახევარში ყველა საკითხი გადაწყვიტა და 25 დღის მანძილზე არ მომშორებია გვერდიდან თბილისში დაბრუნებული, ბახმაროში წამიყვანა.

ერთხელ, მანქანა დამიმტვრიეს, გაიგო თუ არა, მეორე დღესვე ახალი დამიყენა სახლის წინ.

მას ვერასოდეს დავივიწყებ. სიკვდილ-სიცოცხლეზე რომ იყო საუბარი, მხარში ამომიდგა, ცხარე ცრემლით ტიროდა, მიშიკოს რამე რომ მოუვიდეს, თავს მოვიკლავო.

რაც ლისის ტბაზე მშენებლობასთან დაკავშირებით პაპუნას გაუკეთეს, ქართული ფეხბურთისა და ქვეყნის მტერიც არ იზამდა. ბაზას ხომ ხალხიც გამოიყენებდა, მაგრამ შურიანებმა ყველაფერი იღონეს, რომ მშენებლობა შეჩერებულიყო, არადა, რამდენი ფული იყო ჩაყრილი!"

**ელგუჯა ბერძენიშვილი:** „პაპუნას ძალიან სიამოვნებდა სპორტსმენებთან მეგობრობა. თუ ვინმე მოეწონებოდა, მთელი გულით შეიყვარებდა, თან გადაჰყვებოდა. ერთხელ, სტადიონზე ჩვენი „დინამოს" დუბლები ეთამაშებოდნენ როსტოვის გუნდს. იმ დღეს მიშიკო მესხმა საოცრად გამორჩეული ოსტატობა უჩვენა მაყურებელს. ფეხბურთის აღფრთოვანებული გულშემატკივრები, რომლებიც დასავლეთის ტრიბუნის მესამე იარუსზე ისხდნენ, აღტაცებისაგან იქაურობას აყრუებდნენ.

— ადექი, უკან გადავჯდეთ, მითხრა პაპუნამ, — ესენი თამაშს არ გვაყურებინებენ. ორივენი ჩუმად ავდექით და ათი რიგის დაშორებით დავსხედით. აქ შედარებით მშვიდი ხალხი იჯდა. უეცრად, მიშიკო მესხმა ბურთი მიიღო და ადგილიდან მოსხლტდა თუ არა პაპუნა გადაირია, ლამის პერანგი შემოიხია. საერთოდ, როცა მიშა იერიშს წამოიწყებდა, პაპუნა ადგილიდან მოწყდებოდა, ქვემოთ ჩარბოდა, ბოლოს პარტერის პირველ რიგში თავის მეგობარ ჩარლიკასთანაც აღმოჩნდა — ყვიროდნენ, ერთად აგულიანებდნენ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელს. მიდი მიშა! მიდი!

ასეთ ცეცხლოვან ტემპერამენტსაც ამჟღავნებდა ხოლმე დროდადრო ჩვენი პაპუნა."

**გოგი დემეტრაძე:** „ასაკის გამო, პაპუნა ცოტა გვიან შემოვიდა ძველ გულშემატკივართა წრეში. მალე მისი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრიც გახდა. მოვლენების ცენტრში იყო ნიადაგ, ყველანი გაცვიფრებული ვიყავით, როგორ ღრმად და საფუძვლიანად ერკვეოდა ფეხბურთში. თუ რაიმე საქველმოქმედო საქმეს ედებოდა სათავე, პაპუნა აუცილებლად ერთ-ერთი პირველი უნდა ყოფილიყო. მან ღირსეულად გააგრძელა ირაკლი ნემსაძის, ძმები ლაზიშვილების და ბევრი ცნობილი მეცენატის გზა.

პაპუნა ხალასი იუმორით აღსავსე პიროვნება გახლდათ. „დინამო" თუ წააგებდა, იგი თავისი კვიმატი იუმორით იოლად გადაგვატანინებდა ხოლმე მძიმე წუთებს."

დღეს ჩვენში არცთუ იშვიათად გაიგონებთ, ქველმოქმედნი გადაშენდნენო. მოშლა ემუქრება დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, ექიმ გომართელის ფუძეჩაყრილ ტრადიციებს. დღეს პაწია მათხოვრებით ლამის აივსოს ქვეყანა. არადა, ქველმოქმედთა ნება რომ ყოფილიყო, სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში ვინ იცის, რამდენი სპორტული ნიჭი გაბრწყინდებოდა, ვაგლახ, არ დასცალდა პაპუნას, თორემ, ალბათ, აქაც, ამ საქმეშიც სამაგალითო იქნებოდა, ყველას დაუმტკიცებდა რა დიდი ძალა აქვს უპოვართა და შეჭირვებულთა უანგარო დახმარებას, ხელმოკლე ოჯახის შვილებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერების დაარსებასა და მატერიალურ შემწეობას.

პაპუნა პაიჭაძე ამ ქვეყანაზე სიკეთისათვის და მხოლოდ სიკეთისათვის იყო მოვლენილი. ნაადრევად წავიდა, მაგრამ მის ნაღვაწს და სიკეთეს დავიწყება არ უწერია. ვერელ ბიჭს, ნაღდ თბილისელს ხვალ დაბადებიდან ორმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდებოდა.

დემიკო ლოლაძე

## მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში

# გამოკვეთილი ფავორიტი არ ჩანს

**კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატზე 5 და 6 აგვისტო დასვენების დღეები იყო, დღეს კი ათენში მორიგი მატჩები გაიმართება. ჯერ IX-XI ადგილებისათვის ითამაშებენ პუერტო-რიკო — ბრაზილია და კანადა ავსტრალია. ხოლო თბილისის დროით 16 საათიდან მეოთხედფინალური მატჩები შედგება: იუგოსლავია — არგენტინა, საბერძნეთი — ესპანეთი, რუსეთი — ლიტვა, იტალია — აშშ.**

წინა ჩემპიონატებთან შედარებით ათენში მატჩები, ერთი შეხედვით, გაცილებით უფრო დაძაბულად მიმდინარეობს, რაც გუნდების ძალთა გათანაბრებით აიხსნება:

ნბა-ში გამოცხადებული ლოკაუტის გამო აშშ-ს კოლექტივში არ არიან პროფესიონალი მოთამაშეები, ვერც იუგოსლავიელებმა ჩამოიყვანეს ძლიერი ნაკრები – მწვრთნელთან კონფლიქტის გამო ასპარეზობაში არ მონაწილეობენ მათი უძლიერესი მოთამაშეები.

გთავაზობთ მერვედფინალური ტურნირის შედეგებს:

**E ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 1 | 486:366 | 11 |
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 455:388 | 11 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 2 | 385:379 | 10 |
| იტალია | 6 | 4 | 2 | 395:393 | 10 |
| პუერტო-რიკო | 6 | 2 | 4 | 438:443 | 8 |
| კანადა | 6 | 1 | 5 | 419:484 | 7 |

**F ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 5 | 1 | 511:430 | 11 |
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 457:429 | 11 |
| ლიტვა | 6 | 4 | 2 | 472:432 | 10 |
| არგენტინა | 6 | 3 | 3 | 436:428 | 9 |
| ავსტრალია | 6 | 3 | 3 | 432:427 | 9 |
| ბრაზილია | 6 | 1 | 5 | 399:456 | 7 |

## რბოლა დასრულდა, სკანდალები კი გრძელდება

**მსოფლიოს უძლიერეს ველომრბოლთა ასპარეზობა „ტურ დე ფრანსი" რომ დასრულდა და რა შედეგით, ამაზე „ლელოს" მკითხველები ინფორმირებულნი არიან. სპორტსმენებმა ახლა სულის მოსათქმელად თავთავიანთ ქვეყნებს მიაშურეს, მაგრამ, ეტყობა, ზოგიერთ მათგანს დასვენება არ უწერია, ვინაიდან დოპინგის მიღებასთან დაკავშირებული სკანდალები კვლავ გრძელდება. გუშინწინ, საფრანგეთის სასამართლომ, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა TVM-ის მასაჟისტს იონას მურს. შეგახსენებთ, რომ მანამდე დააპატიმრეს და სხვადასხვა ვადით საპატიმროში თავი უკრეს ამ გუნდის დირექტორს გეს პრიემს და ექიმ ანდრეი მიხაილოვს. იტყობინებიან, რომ პოლიციამ TVM-ის 14 წევრი დაჰკითხა, მათ შორის 6 მრბოლი, რომლებმაც ჟურნალისტებს კომენტარზე უარი განუცხადეს.**

## „ტურ დე ფრანსი" ამასაც მოესწრო...

ეს უპრეცედენტო ამბავი ახლახან დამთავრებულ 85-ე ტრადიციულ მრავალდღიან ველომარათონ „ტურ დე ფრანსის" ერთ-ერთ, კერძოდ მე-12 ეტაპზე მოხდა. ინციდენტმა რბოლის მონაწილეების „გაფიცვის" გამო მიიპყრო ყურადღება, რასაც შეჯიბრების ორგანიზატორები სულაც არ მოელოდნენ, მაგრამ ეშმაკს არ სძინავსო და მომხდარი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა — ყველა 150 მონაწილე სტარტზე, ქ.ტარასკონეს რატუშის წინ კი არ შეჯდა ველოსიპედებზე, არამედ თავიანთი ფოლადის მერნები ასფალტზე დაალაგეს, თავიდან მოიძრეს ჩაფხუტები და გვერდით მიუსხდნენ. ასე დაიწყო „ტურ დე ფრანს-98"-ის მონაწილეების მჯდომარე გაფიცვა, რითაც მრბოლებმა პროტესტი განაცხადეს დოპინგზე გაძლიერებული ტოტალური ტესტირების გამო. ყოველ დილით, სამედიცინო კომისიის წევრები სხვადასხვა გუნდის 6-8 მრბოლისაგან იღებდნენ სისხლს. და თუ დანიშნულ დროზე ამ პროცედურაზე სპორტსმენი დააგვიანებდა პოლიციის ძალით მიჰყავდათ. გაზეთებიც აჭრელებული იყო დოპინგთან დაკავშირებული სკანდალებით. ყველაფერმა ამან სპორტსმენთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მჯდომარე გაფიცვის ერთ-ერთი თაოსანი ფრანგი ლორან ჟალაბერი გახლდათ, მსოფლიოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, ჟალაბერი საფრანგეთის კერპია და დიდი ხანია „ტურ დე ფრანსის" მოგებაზე ოცნებობს, მაგრამ სულის სიღრმემდე აღაშფოთა დოპინგის მაძიებელთა გაუთავებელმა მცდელობამ. ჟალაბერმა არც ჟურნალისტები დაინდო, მათი აშკარად გაზრდილი ინტერესის გამო დოპინგთან დაკავშირებული სკანდალების აღმოსაჩენად და პირობა დადო, ამიერიდან მათთან ურთიერთობას გავწყვეტო, საათნახევარი ისხდნენ ველოსიპედისტები ასფალტზე, სტარტის ხაზის წინ მართალია ძვირადღირებულ ჩაფხუტებს არ აბრახუნებდნენ და ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, ლორან ჟალაბერის უმცროსი ძმა — ნიკოლა ორმოც მრბოლთან ერთად უეცრად რომ არ ამხედრებულიყო ველოსიპედზე და არ დაძრულიყვნენ წინ. ლორანმა ეს რომ დაინახა, რბოლის გამარჯვებულ, იტალიელ მ.პანტანისა და სხვა მრბოლთან ერთად გამოეკიდა „გაქცეულთ"...

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჟალაბერი „ტურ დე ფრანს-98"-ის პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა.

# ახალგაზრდობამ გაიმარჯვა!

უკვე მრავალი წელია, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონ მაქს ეივეს გარდაცვალების შემდეგ, ჰოლანდიის უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება დიდოსტატი იან ტიმანი. რომელიც პრეტენდენტთა ასპარეზობაშიც მონაწილეობდა და მატჩიც ითამაშა მსოფლიო პირველობაზე.

ეს ასეა, მაგრამ ჭადრაკში ხომ, ისევე, როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, მუდმივი არაფერია. ჰოლანდიელებმაც გადაწყვიტეს, ელისტის ოლიმპიადის წინ მატჩი მოაწყონ და გაარკვიონ, ვის უნდა დაუთმონ გუნდში პირველი დაფა.

სწორედ ამის გამოსარკვევად ქ. ბრედაში მოეწყო მატჩი 10 პარტიისაგან ტიმანსა და ახალგაზრდა დიდოსტატ ლიუკ ვან ველის შორის, რომელსაც ამ ბოლო წლებში თვალსაჩინო წარმატებები აქვს. გამოიყო საპრიზო ფონდიც 30 ათასი გულდენის ოდენობით.

ეს იყო მართლაც თაობათა შეხვედრა — ტიმანი ხომ 46 წლისაა, ვან ველი კი 25-ისა. დასაწყისში უპირატესობა ახალგაზრდამ მოიპოვა, პირველი პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ ვან ველიმ მოიგო მეორე და მესამე შეხვედრები. ორთაბრძოლა მწვავედ გაგრძელდა: ტიმანმა გაიმარჯვა მეოთხეში, ვან ველიმ კი მეხუთეში.

თითქოს რაღა რჩებოდა, მაგრამ ტიმანმა მოიგო მეექვსე და მერვე პარტიები — ანგარიში გათანაბრდა. მეცხრეს ყაიმით დასრულების შემდეგ ვეტერანი ახლოს იყო გამარჯვებასთან მეათეში, მაგრამ ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. 5:5!

გამარჯვებულის გამოსავლენად ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ბრძოლა გაეგრძელებინათ, მაგრამ ამჯერად უკვე სწრაფი პარტიებით (25 წუთი მთელი პარტიისათვის თითოეულს). აქ უფრო იღბლიანი ახალგაზრდა დიდოსტატი აღმოჩნდა, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 2,5:1,5. ამრიგად, იგი ოლიმპიადაზე ჰოლანდიის ნაკრებში პირველ დაფაზე ითამაშებს.

## აგასი — ჰენმანი 6:4, 6:4

ახლა, რომ ყველა ჩოგბურთელის გზა ი.ს.ოუპენამდე ანუ ფლეშინგმოდოუმდე მიდის, ყურადღებას იპყრობს გამოჩენილ, მაგრამ შარშანდლამდე თითქმის უიმედოდ ჩამოწერილ ოსტატ ანდრე აგასის გააქტიურება. იგი 1995 წელს მსოფლიოს №1 ჩოგბურთელად ითვლებოდა, შემდეგ უამრავი მარცხი განიცადა (თუმცა 1996 წელს ატლანტაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა) და ასე გასინჯეთ, რეიტინგ-ლისტში მეორე ასეულის შუაგულშიც კი გადაინაცვლა. წლეულს მდგომარეობა შეიცვალა და აი ამ დღეებში აგასიმ დამაჯერებლად გაიმარჯვა ლოს-ანჯელესის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მან ფინალში გასაქანი არ მისცა ცნობილ ინგლისელ ოსტატ ტიმ ჰენმანს — 6:4, 6:4.



საყურადღებოა, რომ ეს ანდრე აგასის უკვე მეოთხე გამარჯვებაა წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებში. ახლა იგი რეიტინგით მეთვრამეტეა.

მთავარი, რა თქმა უნდა, ი.ს.ოუპენში, ანუ ნიუ-იორკის ფლეშინგ-მიდოუში წარმატებით გამოსვლაა.

## ბეკერის თავზე ცა მოიქუფრა

გერმანიის საგადასახადო ინსპექციის სამსახურებმა სერიოზული დაინტერესება გამოიჩინეს ე.წ. „ბეკერის საქმით". თურმე, ბოლო 5 წელია ჩოგბურთელს საგადასახადო დეკლარაციებში შეგნებულად . არასწორი ინფორმაცია შეაქვს, უთითებს რა თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მონტე-კარლოს. გაირკვა, რომ ბეკერი უმეტეს დროს გერმანიაში ატარებს, მონტე-კარლოს კი იმიტომ იხსენიებს, რომ იქ ყველაზე დაბალი გადასახადია.



ამ მაქინაციით, ვარაუდობენ, რომ ბეკერმა სახელმწიფოს დაახლოებით 5-6 მილიონი გერმანული მარკა დაუმალა. თუ ეს დადასტურდა, ჩოგბურთელსა და მის მენეჯერს კარგა ხნით მოუწევთ ციხეში ყურყუტი.

## ჩემპიონატი 45 (!) დიდოსტატის მონაწილეობით

*სულ ცოტა ხნის წინათ რომელიმე ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი რაოდენობის დიდოსტატების მონაწილეობა წარმოუდგენელი იყო...*

*რუსეთის 51-ე ჩემპიონატმა ჭადრაკში ერთბაშად რამდენიმე ამოცანა უნდა გადაწყვიტოს: პირველია ქვეყნის ნაკრების წევრების შერჩევა ელისტის ოლიმპიადის წინ. მართალია, გუნდში მოწვეული არიან კასპაროვი, კარპოვი და კრამნიკი, მაგრამ შეიძლება რომელიმე მათგანმა უარი განაცხადოს ისე, რომ სანკტ-პეტერბურგში ნაკრების 3-4 წევრი შეირჩეს, პრეტენდენტი კი, ცხადია, გაცილებით მეტია. გარდა ამისა, სწორედ ჩემპიონატმა უნდა შეარჩიოს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის რამდენიმე მონაწილე, რომელიც დეკემბერში ლას-ვეგასში გაიმართება.*

*მონაწილეებს შორის ერთი ქალია. ეს გახლავთ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ალისა გალიამოვა, რომლისთვისაც რუსეთის პირველობაზე თამაში სერიოზული ვარჯიშია სიე ჟუნთან მატჩის წინ. მას 5 ტურის შემდეგ 2,5 ქულა აქვს — მეოთხე ტურში თეთრებით დამარცხდა მიხეილ ქობალიასთან (მოსკოველმა 3,5 ქულა მოაგროვა).*

*5 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა სერგეი რუბლევსკი (ყაზანი).*

## ინფორმაცია

**ჩოგბურთი.** *ვაჟები:* კანადის ქალაქ ტორონტოში მიმდინარეობს „მორისის თასის" ღია პირველობა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ამერიკელმა პიტ სამპრასმა სძლია იტალიელ პოცის 6:1, 6:2. *ქალები:* ე.წ. Toshiba Classic-ის ტურნირში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა შტეფი გრაფმა მოუგო ჰალარდს, იაპონელმა აი სუგიამამ — ჯენიფერ კაპრიატის (აშშ). ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა — ფრანგ პის, ბელორუსმა ნატაშა ზვერევამ — ხორვატ მარიანა ლუჩიჩს.

**კეტბურთი.** MLB-ში (ბეისბოლის უმთავრესი ლიგა) გაიმართა მორიგი ტური: „ტორონტო ბლუ ჯეიზ" — „რეინჯერსი" 8:11, „დეტროიტი" — „ბალტიმორი" 0:4, „ცინცინატი რედს" — „ატლანტა პრეივზ" 4:6, „ჰიუსტონ" — „ფლორიდა" 9:5.

მოამზადა გია ახალაძემ

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლერი ხაბელოვს ძმის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოლიმპიურ ჩემპიონს და პრიზიორს ლერი ხაბელოვს ძმის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს სახელოვან ფალავანს და პიროვნებას ლერი ხაბელოვს ძმის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" სამძიმარს უცხადებს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ოთხგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვს ძმის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტკლუბი „ლოკომოტივი" თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლერი ხაბელოვს ძმის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს**

**რევაზ ხაბელოვის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კოლეგას, გაზეთ „დროს" რედაქტორს მარინე გიგინეიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**



## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ცხენოსნობის ეროვნული სახეობა, 6. ქართული კომედიური ფილმი, 10. ტროპიკული მცენარე, 11. მშვილდით სასროლი. 12. განვლილი ეპოქები, 15. სათევზაო ინვენტარი, 16. შეჯიბრების საწყისი, 17. ცურვის სტილი, 18. სამხედრო შენაერთი, 21. ქარელის საფეხბურთო კლუბი, 23. იტალიური საფეხბურთო კლუბი, 27. ზაფხულის ბოლო ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 29. თავაშვებული ქეიფი, 30. მორბენლებით განთქმული აფრიკული ქვეყანა, 31. ილუსტრაციების, სურათების და ა.შ. კრებული, 32. ქვეწარმავალი, ანჩხლ ადამიანზეც იტყვიან.

**შვეულად:** 1. მატჩის მონაკვეთი, 2. ძვირფასი ქვა, 3. უბედური შემთხვევა, 4. საასპარეზო გეზი, 7. ცეცხლსასროლი იარაღი, 8. ძვირფასი მინა, 9. დღეს არარსებული ქვეყანა ამიერკავკასიის სამხრეთით. 13. მსოფლიოს ქვეყნებში ცნობილი სასტუმრო, 14. კაზაკთა მეთაური, 19. მეომრის საჭურველი, 20. ფარული დაცინვა. 22. შეჯიბრება ავტოსპორტში, 24. ქარიშხალი ზღვაზე. 25. რუკების კრებული, 26. „ჩელსის" იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელი, 28. დოლარის ხურდა.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ბაიდარი, 5. რინგი, 10. ვიზნერი, 17. რაიციგერი, 20. კონსეისაო, 25. ივანჩუკი, 27, შეყილაძე, 30. აკვაპლანი, 32. სიმერინკი, 39. გურიელი, 43. რეინა, 45. ალმეიდა.

**შვეულად:** 1. ქაირზინიო, 2. ბრაიტნერი, 4. დონადონი, 11. პალიუკა, 12. ტრიკონი, 15. ხოფერია, 16. სალენკო, 17. ცაავა, 22. ირანი, 36. ბულგარელი, 37. ჩიკვაიძე, 38. კლოდოალდო.

**დიაგონალურად:** 6-19. ზივერტი, 7-21. ტუკვაძე, 8-26. „დელფინი", 9-26. ივანოვი, 13-29. სავიო, 14-28. კანოე, 23-35. კოშტა, 24-34. ფინტი, 31-42. პანენკა, 33-43. რატინიო, 40-26. რევანში, 41-26. სიუ-ჟუნი.

## საჭადრაკო ამოცანა

ლ. ბოლშოვი (რუსეთი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. f3!
1. ...მფ:f5 2. ეa6 მფf4 3. ეf6X.
1. ...მფ:f3 2. ეa2 მფf4 3. ეf2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე